

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის

მაგისტრანტი - ანა ბროლაძე

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების
თავისებურებები

ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი რუსიაშვილი

სამართლის დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი

თბილისი

2019 წელი

სარჩევი

აბრევიატურები.....	4
შესავალი	5
I. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა	7
1.2. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება.....	7
1.2. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები.....	9
1.2.1. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა.....	9
1.2.2. არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა.....	11
1.3. სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობის მიმართება.....	12
II. დელიქტური ვალდებულებები.....	13
2.1. დელიქტის ცნება და დაცული სიკეთეები.....	13
2.2. დელიქტური ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები	17
2.2.1. ზიანი	17
2.2.1.1. ზიანის ცნება	17
2.2.1.2. ზიანის სახეები	18
2.2.1.2.1. მატერიალური ზიანი.....	18
2.2.1.2.2. მორალური ზიანი.....	20
2.2.2. მართლწინააღმდეგობა.....	22
2.2.3. მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის.....	23
2.2.4. ბრალი და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევები	25
2. 2.4.1. ბრალის ფორმები	27
2. 2.4.1.1. განზრახვა	27
2.2.4.1.2. გაუფრთხილებლობა.....	28
2. 2.4.2. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა.....	29
III. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი.....	31
3.1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება	34

3.1.1. სამსახურებრივი მოვალეობის არსი	34
3.1.2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დრო და ადგილი	38
3.2. სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელი პირი.....	40
3.2.1. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	41
3.2.2. მენარდე.....	43
3.2.3. სახელმწიფო და საჯარო მოხელე.....	45
IV. ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი	50
4.1. ფიზიკური პირი, როგორც დამსაქმებელი.....	51
4.2. იურიდიული პირი, როგორც დამსაქმებელი	51
4.3. სახელმწიფო, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი	53
V. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება - ზიანის ანაზღაურება საკუთარი თუ მესამე პირის ბრალისათვის	54
დასკვნა.....	59
ბიბლიოგრაფია:.....	61

აბრევიატურები

- ა.შ. - ასე შემდეგ
- გვ. - გვერდი
- ე.ი. - ესე იგი
- ე.წ. - ეგრეთ წოდებული
- იხ. - იხილეთ
- სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
- სშკ - საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი
- სხვ. - სხვა
- შდრ - შეადარეთ
- წ. - წელი

შესავალი

დელიქტური სამართალი სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია. იგი უზრუნველყოფს იმ ზიანის აღმოფხვრას, რომელიც პირმა სხვა პირს მიაყენა. აღნიშნული, საბოლოო ჯამში, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაბალანსებას უზრუნველყოფს. სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, როგორც წესი, დელიქტური სამართლის საფუძველზე პირის პასუხისმგებლობის საფუძველი ბრალეული ქმედებაა, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი და ბრალეული ქმედების განმახორციელებელი პირი ერთმანეთს არ ემთხვევა. მითითებულ შემთხვევათა რიგს მიეკუთვნება დასაქმებულის, მუშაკის მიერ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელ პირად დამსაქმებლის განსაზღვრა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში უმუშევრობის დონე საკმაოდ მაღალია, მაინც შთამბეჭდავია დასაქმებულ პირთა საერთო რაოდენობა.¹ აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ დელიქტური მოთხოვნებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავათა დიდ ნაწილში ზიანის მიმყენებელ პირად დასაქმებული პირი იყოს წარმოდგენილი, რომელმაც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას მიაყენა ზიანი მესამე პირს. ამდენად, მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლით მოწესრიგებული ურთიერთობის საფუძველიანი გაანალიზება და პრაქტიკაში მისი სწორად გამოყენება.

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ძალზე მწირია სსკ-ის 997-ე მუხლის გამოყენების მაგალითები. არის ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევებიც. მითითებული თემის დამუშავების სიუხვით არც ქართული სამეცნიერო ლიტერატურა გამოირჩევა. ამდენად, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურებების განხილვა მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

განსახილველი თემის მიზანია დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამსაქმებლისათვის დაკისრების

¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2018 წელს დასაქმებულთა საერთო რაოდენობა შეადგენდა 1 694.200 კაცს, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba>

სამართლებრივი და პრაქტიკული საფუძვლების გაანალიზება და ურთიერთობის ამგვარი მოწესრიგების უპირატესობების დადგენა.

ნაშრომის პირველ ნაწილში განხილული იქნება სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი და სახეები, აგრეთვე, დელიქტური ვალდებულებების ზოგადი დახასიათება და მისი წარმოშობის საფუძვლები, კერძოდ: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი ზიანის მიმყენებელი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

ნაშრომის მეორე და ძირითადი ნაწილი უშუალოდ ეთმობა სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობის ანალიზს. ცალ-ცალკე იქნება განხილული მითითებული ნორმის ელემენტები - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელი პირი, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი ანუ დამსაქმებელი.

ნაშრომის ბოლო ნაწილში პასუხი გაეცემა შეკითხვას წარმოადგენს თუ არა სამსახურებრივი მოვალეობის შერულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამსაქმებლისათვის დაკისრების შემთხვევა მესამე პირის ბრალის გამო ზიანის ანაზღაურებას.

კვლევის მიზნებისათვის გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი ანალიზის მეთოდი, ამასთანავე, გამოყენებულია ლოგიკური, ისტორიული, ნორმატიულ-დოგმატური, სისტემური კვლევის მეთოდები. ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა ძირითადად ეფუძნება გერმანულ, ფრანგულ და საერთო სამართალში დამკვიდრებულ მიდგომებს, სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინას. ნაშრომში გაანალიზებულ იქნა, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით როგორც ქართულ, ისე უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები.

I. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1.2. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება

სამართალი, პოზიტიური ცნების მიხედვით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი, შესასრულებლად სავალდებულო ქცევის წესების ერთობლიობაა.² სამართლის ნორმები, თავის მხრივ, სტაბილურობისა და სამართლიანობის დაცვას უზრუნველყოფს. ზემოხსენებული ნორმებისა და მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულებების დარღვევისას დგება სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი ვალდებულების დარღვევაა. იურიდიული პასუხისმგებლობა სამართალდამრღვევისთვის განსაზღვრული უარყოფითი შედეგის დადგომით გამოიხატება.³ სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა იურიდიული პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, ამიტომ მას ახასიათებს იურიდიული პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, კერძოდ:

1. იურიდიული პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მიერ იძულებით ზემოქმედების ერთ-ერთი ფორმაა სამართლის ნორმის დამრღვევზე;
2. იგი გამოიყენება სამართალდამრღვევების მიმართ;
3. იგი გამოიყენება უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მიერ;
4. პასუხისმგებლობა გულისხმობს სამართალდამრღვევების მიმართ კანონით გათვალისწინებული სანქციების გამოყენებას.⁴

აღსანიშნავია, რომ ყველა იძულებითი ღონისძიება არ შეძლება ჩაითვალოს სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომად. ყოველგვარი სანქცია, რომელსაც კანონი ადგენს ვალდებულების დარღვევისთვის, არ წარმოადგენს სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას, მხოლოდ ისეთი სანქცია წარმოადგენს პასუხისმგებლობას, რომელიც ვალდებულების დამრღვევი პირის

² ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ. 33.

³ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ.80, ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ: *ადვოკატი N2*, თბილისი, 2013, გვ.31

⁴ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, ჟურნ: *სამართლის ჟურნალი, NI*, თბილისი, 2009, გვ. 52

მიერ იმაზე მეტი მოქმედების შესრულებას ითვალისწინებს, ვიდრე მას ვალდებულებით ეკისრებოდა.⁵ სამოქალაქო პასუხისმგებლობა შეიძლება გამოიხატოს ზიანის ანაზღაურებაში, ბეს დაკარგვაში, პირგასამტეხლოს გადახდაში. ზიანის ანაზღაურება მიმართულია დაზარალებულის ქონებრივი სფეროს აღდგენისკენ ზიანის მიმყენებლის ქონების ხარჯზე. პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.⁶

სამოქალაქოსამართლერივი პასუხისმგებლობა ორი ძირითადი ფუნქციის მატარებელია: იგი უზრუნველყოფს კრედიტორის ქონებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას და, აგრეთვე, მოწოდებულია, აცილებულ იქნეს მომავალში სამოქალაქო სამართალდარღვევის ჩადენა.⁷ პასუხისმგებლობის „უზრუნველყოფმა“ და „გამაფრთხილებელმა“ ფუნქციამ შეიძლება ერთგვარად შეაფერხოს კიდევ სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა (მეწარმეთა) საქმიანი აქტიურობა. სწორედ ამიტომაც, კანონმდებელმა დაადგინა ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დგება ბრალის არსებობისას. მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის (395-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადება).⁸

ზიანის ანაზღაურების სახით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის აუცილებელია ერთდროულად შემდეგი წინაპირობების არსებობა: მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა მოპასუხის მხრიდან, ამ ქმედების შედეგად გამოწვეული ზიანის არსებობა (ე.ი. ზიანი და მიზეზობრივი კავშირი) და ბრალეულობის არსებობა.⁹

⁵ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 64.
⁶ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 65.
⁷ კალმახელიძე ი., სამოქალაქო-სამართლერივი პასუხისმგებლობის ცნება, ჟურნ: *ადამიანი და კონსტიტუცია NI*, თბილისი, 2003, გვ. 80, თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 48.
⁸ იქვე.
⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 08.05.2019წ. Nას-153-2019 განჩინება

1.2. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეები

სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში პასუხისმგებლობის სახეებად დაყოფა სხვადასხვა კრიტერიუმით ხდება. წარმოშობის საფუძვლის მიხედვით, ერთმანეთისგან განასხვავებენ სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობას.¹⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, შესაძლოა გამოვყოთ სოლიდარული (სსკ-ის 455-ე-476-ე მუხლები), წილადი (მაგ: სსკ-ის 1481-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), სუბსიდიარული (მაგ: სსკ-ის 994-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რეგრესული (მაგ: სსკ-ის 704-ე, 890-ე მუხლები) პასუხისმგებლობის შემთხვევები.¹¹

1.2.1. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა

ვალდებულების შეუსრულებლობა, ისევე როგორც არაჯეროვნად შესრულება სამოქალაქო ბრუნვისთვის ნორმალური რისკია და ორივე მათგანი ვალდებულების დარღვევად მიიჩნევა, რომელსაც სამოქალაქოსამართლებრივი ხასიათი აქვს.¹² სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის საკითხი დგება მაშინ, როდესაც პირი საკუთარი ნებით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებას არაჯეროვნად ან საერთოდ არ ასრულებს.

ხელშეკრულება სოციალური სიკეთისა და მატერიალური დოვლათის განაწილების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.¹³ ხელშეკრულება ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველია, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგია, მხარეთა ავტონომიურობის პრინციპის გამოხატულებაა, რომლის ძალითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, შეასრულონ ან არ შეასრულონ ესა თუ ის მოქმედება.¹⁴ ხელშეკრულება

¹⁰ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი N3(30)'11*, თბილისი, 2011, გვ. 62

¹¹ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 54

¹² ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 80

¹³ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რომაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 50

¹⁴ თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, გვ. 15, ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 10, ბაჩიაშვილი ვ., ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართალი პრინციპების მიხედვით და საქართველოს

უზრუნველყოფს მატერიალური სიკეთის არა მხოლოდ განაწილებას, არამედ ამ გადანაწილების სამართლიანობასაც.¹⁵ სახელშეკრულებო სამართალში პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებულია ვალდებულების შესრულებასთან. ამდენად, მნიშვნელოვანია, განვსაზღვროთ ვალდებულების ცნება, რის დარღვევასაც პასუხისმგებლობა მოჰყვება. ვალდებულება ისეთი სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობაა, რომლის ძალითაც მოვალე ვალდებულია შეასრულოს კრედიტორის სასარგებლოდ განსაზღვრული მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედებისაგან, ხოლო კრედიტორი უფლებამოსილია მოვალეს მოსთხოვოს ვალდებულების შესრულება,¹⁶ თუმცა ვალდებულების ცნების პრაქტიკული დანიშნულება არ ამოიწურება მხოლოდ მხარეებისათვის გარკვეული უფლება-მოვალეობების დაკისრებით. მისი, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის რეალიზაცია სამართლებრივი დაცვით არის გარანტირებული. კრედიტორს არა მხოლოდ უფლება აქვს მოსთხოვოს მოვალეს შესრულება, არამედ უფლებამოსილია ამ შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები.¹⁷

სსკ-ის 361-ე მუხლის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, დათქმულ დროსა და ადგილას. სამოქალაქო კოდექსის სერიოზული თავისებურება ის არის, რომ იგი მთლიანად შესრულებაზეა ორიენტირებული. მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა მისი შეუსრულებლობისთვის,¹⁸ თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია ვალდებულების დარღვევის შედეგად შექმნილი მდგომარეობის რეაბილიტაცია და ზიანის მიმყენებელი მხარისათვის სათანადო პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება. ხელშეკრულებას კანონის ძალა აქვს მხარეთათვის, ამიტომ მის დარღვევას თავად კანონი უკავშირებს გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს.¹⁹ სსკ-ით

კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, 2013 წ., გვ 5

¹⁵ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 51

¹⁶ Chainais C., Guillaume Gh., Tenenbaum A., *European Contract Law, Part I, Terminology* (ed: Tenenbaum A.) Munich, 2008, გვ. 39, ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 5, ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსისი ონლაინკომენტარი, <http://www.gccc.ge>, 26.10.2016, მუხლი 316, ველი 17

¹⁷ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 35

¹⁸ ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005, გვ. 4

¹⁹ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 64

მიხედვით, ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მხარეს თავდაპირველად, ხელშეკრულების დამრღვევის გაფრთხილებისა და მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ვალდებულება ეკისრება. აღნიშნულის უშედეგოდ ჩავლის შემთხვევაში დგება ხელშეკრულების მოშლის²⁰ ან ხელშეკრულებიდან გასვლის²¹ საკითხი. ამ უკანასკნელს, სსკ-ის მიხედვით, შესაძლოა მოჰყვეს მიღებული შესრულების ნატურით დაბრუნება, ფულადი ანაზღაურება (ნატურით დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში) ან ზიანის ანაზღაურება (შესრულების ნაცვლად).

1.2.2. არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა

იმ შემთხვევაში, თუ ზიანი წარმოშობილია ისეთი ქმედების შედეგად, რომელიც არ არის დაკავშირებული ხელშეკრულებასთან, დგება არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობა. კანონისმიერი მოთხოვნის საფუძველზე საუბარია მაშინ, როდესაც მოცემულია გარკვეული კანონისმიერი წინაპირობები, რომლებიც არ წარმოადგენენ მხარეთა ხელშეკრულებით დადებული შეთანხმების საგანს.²² არასახელშეკრულებო პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელი საფუძველია ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება; თუ ზიანის მიმყენებელსა და დაზარალებულს შორის არ არსებობდა სამოქალაქოსამართლებრივი ვალდებულება, რომლის დარღვევას შეიძლებოდა მოჰყოლოდა ზიანის მიყენება, აღნიშნული სახის პასუხისმგებლობა რომ დადგეს, დაზარალებულმა უნდა განიცადოს რეალური ქონებრივი დანაკლისი.²³ ამ შემთხვევაში ზიანი დგება იმ საკანონმდებლო ნორმების დარღვევით, რომელთა შესრულებით

²⁰ მოშლა გულისხმობს მოშლის უფლების წარმოშობას ისე, რომ მხარეებს უკან არ უბრუნდებათ მიღებული შესრულება და სარგებელი

²¹ მოშლისგან განსხვავებით, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზაცია იწვევს რესტიტუციას (სსკ-ის 352-ე მუხლი)

²² კვანტალიანი ნ., მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, ჟურნ.: *მართლმსაჯულება და კანონი* N2(33)'12, თბილისი, 2012, გვ. 5

²³ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, ჟურნ.: *სამართლის ჟურნალი* N1, თბილისი, 2009, გვ. 54, ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, 379.

უზრუნველყოფილია პირთა ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების (საკუთრების უფლება, პატივი, ღირსება, ჯანმრთელობა და ა.შ.) დაცვა.²⁴

1.3. სახელმწიფო და არასახელმწიფო პასუხისმგებლობის მიმართება

სახელმწიფო და არასახელმწიფო პასუხისმგებლობას, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებს შორის განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ პირველი წარმოიშობა რელატიური, სამართლებრივი ურთიერთობის, ხოლო მეორე აბსოლუტური სამართლებრივი ურთიერთობის დარღვევის შედეგად.²⁵ ამასთანავე, სახელმწიფო პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის საკმარისი არ არის ასანაზღაურებელი ზიანის, როგორც არამართლზომიერი ქმედების უშუალო შედეგის არსებობა, არამედ აუცილებელია, რომ მისი გათვალისწინება შესაძლებელი იყოს ხელმწიფოების დადების მომენტში. მსგავსი რამ არ ხდება დელიქტური პასუხისმგებლობის დროს, რადგან დაინტერესებულ პირებს შორის არ არსებობს არანაირი წინასწარი შეთანხმება. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პასუხისმგებლობა შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული შეთანხმებით, დელიქტური პასუხისმგებლობის დროს კი ასეთი შეთანხმება დაუშვებელია. სახელმწიფო და არასახელმწიფო პასუხისმგებლობას ერთმანეთისაგან იცის განასხვავებს, რომ, გარკვეულ შემთხვევაში, სახელმწიფო სამართალში ბრალის ყველა ფორმა არ განაპირობებს სახელმწიფო პასუხისმგებლობას, დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის კი საკმარისია მსუბუქი ბრალის არსებობაც.²⁶

²⁴ ჩიტოშვილი თამარ: დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, *ჟურნ: "მართლმსაჯულება" N1*, თბილისი, 2008, გვ. 49

²⁵ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), *ჟურნ: სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 81

²⁶ დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელმწიფო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, *ჟურნ: სამართლის ჟურნალი, NI*, თბილისი, 2009, გვ. 56

II. დელიქტური ვალდებულებები

2.1. დელიქტის ცნება და დაცული სიკეთეები

დელიქტური სამართალი სამართლის უმნიშვნელოვანესი დარგია. მისი ფუნქცია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესების დაცვაა. დელიქტური სამართალი პირთა უფლებებსა და ინტერესებში მართლსაწინააღმდეგო ჩარევის უარყოფითი შედეგების აღმოფხვრას უზრუნველყოფს.²⁷

დელიქტური სამართლის წარმოშობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული სისხლის სამართალთან. თავდაპირველად, ფაქტობრივად არ ხდებოდა ამ ორი დარგის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. დღესდღეობით, სადავო არ არის, რომ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა, ზიანის მიმყენებლის მოქმედება წარმოადგენს თუ არა სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას. უფრო მეტიც, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მთავარი მიზანი მათთვის მიყენებული დანაკლისის შევსება და დარღვეული უფლების აღდგენაა და არა დანაშაულის პრევენცია. დელიქტური სამართალი, თანამედროვე გაგებით, არის კერძო სამართლის უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც არეგულირებს ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან.²⁸

დელიქტის ცნების ლეგალურ დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს. სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამდენად, პირის მიერ სხვა პირისათვის ზიანის მიყენება წარმოშობს ვალდებულებას. სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან განსხვავებით, მოცემული სახის ვალდებულებების წარმოშობის საფუძველს სამართალდარღვევა წარმოადგენს, ამიტომ ამგვარ ვალდებულებებს დელიქტურ ვალდებულებებს უწოდებენ (დელიქტი ლათინური სიტყვაა და სამართალდარღვევას ნიშნავს).²⁹

²⁷ Moreteau O., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz, 2015, გვ.24

²⁸ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 68

²⁹ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 258

სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით მოთხოვნის საფუძველი მიმართულია, როგორც 992-ისა და მისი შემდგომი მუხლების შემთხვევაში - ზიანის ანაზღაურებაზე. ვინაიდან დელიქტური სამართლის ნორმები, გარდა სამოქალაქო კოდექსის 1006-ე მუხლისა, არ შეიცავენ რეგულირებას ზიანის ანაზღაურების შესახებ, ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობის განსაზღვრისათვის გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 408-ე და მისი მომდევნო მუხლები.³⁰

დელიქტის ცნების სამართლებრივი შინაარსის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია იმ მიზნის დაზუსტება, რომელსაც დელიქტური სამართლის ნორმები ემსახურება. როგორც წესი, კანონმდებელი თავის მიზანს ანუ სამართლებრივი სიკეთის ხელშეუხებლობას მათი ჩამოთვლით აღწევს.³¹ სსკ-ის 992-ე მუხლში, განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ანალოგიური ნორმისა, ³² არ ვხვდებით ნორმით დაცული სამართლებრივი სიკეთეების ჩამონათვალს. ამდენად, სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია უნებართვო (მართლსაწინააღმდეგო) ქმედებით გამოწვეული ნებისმიერი ზიანისათვის.

უმთავრესი სიკეთეები, რის წინააღმდეგაც შეიძლება იყოს მიმართული მართლსაწინააღმდეგო ქმედება, არის პიროვნება და საკუთრება.³³ დაცულ სიკეთეს შესაძლოა წარმოადგენდეს ფიზიკური ხელშეუხებლობა, გონებრივი და ფიზიკური ჯანმრთელობა, კონფიდენციალურობა, ეკონომიკური ინტერესები.³⁴

სიცოცხლის უფლება ადამიანის ყველაზე ფუნდამენტური უფლებაა. სიცოცხლის უფლება გარანტირებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 10.1 მუხლით, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-2 მუხლით.³⁵ სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, კანონით

³⁰ ლუთრინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბილისი, 2011, გვ. 21

³¹ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 69

³² გსკ-ის 823-ე პარაგრაფი

³³ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ. სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 69, ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, IV წიგნი, II ტომი, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 380, ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 259

³⁴ Van Dam C., European Tort Law, Oxford, 2013, გვ. 167

³⁵ Van Dam C., European Tort Law, Oxford, 2013, გვ. 169

პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, მესამე პირებს - გარდაცვლილის ოჯახის წევრებს წარმოეშობათ.³⁶ მაგალითად, სსკ-ის 1006-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო. სარჩოს სანაცვლოდ დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ერთჯერადი ანაზღაურება, თუკი არსებობს ამის მნიშვნელოვანი საფუძველი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, შესაძლებელია გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურების დაკისრება ზიანის მიმყენებლისათვის.³⁷

ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ჯანმრთელობის უფლება დელიქტური ვალდებულებების სამართლით ყველაზე კარგად დაცული უფლებაა.³⁸ სსკ-ის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ მკურნალობის ხარჯი (408 I), არამედ შრომისუნარობით გამოწვეული სამომავლო ქონებრივი დანაკლისი (408 II) და მორალური ზიანი (413 II).³⁹ მართალია სსკ, ისევე როგორც გსკ, ერთმანეთისაგან განასხვავებს სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანებას, მაგრამ ვინაიდან სხეულის დაზიანება, როგორც წესი, ჯანმრთელობის დაზიანებასაც გულისხმობს, მკაცრი გამიჯვნა აუცილებელი არ არის.⁴⁰ დღესდღეობით უფრო და უფრო აქტუალური ხდება ფსიქიკური შოკით იგივე „ფსიქიატრიული ავადმყოფობით“ მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი.⁴¹

სხეულის ან ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ზიანზე პასუხისმგებლობის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული დაზარალებული პირის დაცვის ინტერესი და ის გარემოება, რომელშიც მიადგა პირს ზიანი. მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება, რომელის თანახმადაც, სპორტული შეჯიბრის დროს მიღებული ტრავმა და მისი მკურნალობის ხარჯი

³⁶ Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 44

³⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.05.2016წ. №ას-1085-1022-2015 განჩინება

³⁸ Van Dam C., *European Tort Law*, Oxford, 2013, გვ. 171

³⁹ შდრ. Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 52

⁴⁰ Van Dam C., *European Tort Law*, Oxford, 2013, გვ. 172

⁴¹ Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 47

ანაზღაურებას არ ექვემდებარება, ვინაიდან სპორტული შეჯიბრის დროს ზიანის მიყენება ვერ ჩაითვლება ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებად.⁴²

სსკ-ის მე-18 მუხლის შესაბამისად აღიარებული და დაცულია ადამიანის პირადი არაქონებრივი უფლებები, ამ უკანასკნელს მიეკუთვნება სახელის უფლება, ღირსება, პატივი, საქმიანი რეპუტაცია და ა.შ. პირადი არაქონებრივი უფლებები აგრეთვე მოიხსენიება როგორც პიროვნული უფლებები. პიროვნული უფლება აბსოლუტური უფლებაა, რომელიც გამოხატავს ადამიანის პიროვნების პატივისცემასა და მის ინდივიდუალურობას. ამ უფლებების სამართლებრივი დაცვის მექანიზმის კანონმდებლობაში დამკვიდრება უზრუნველყოფს პიროვნულ სფეროში მართლსაწინააღმდეგო ჩარევის აღკვეთას და ადამიანის პატივის, ღირსების და სხვა პიროვნული უფლებების ხელშეუვალობას.⁴³ მართალია, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებები მოცემულია სსკ-ის მე-18 მუხლში, თუმცა, ამავდროულად, ამ უფლებების სფეროში ნებისმიერი არამართლზომიერი ჩარევა შესაძლებელია განხილულ იქნეს დელიქტად სსკ-ის 992-ე მუხლის მიხედვით.⁴⁴

სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება შესაძლებელია წმინდა ეკონომიკური ინტერესის (pure economic loss) შელახვისთვისაც.⁴⁵ წმინდა ეკონომიკური ზიანი არის ისეთი ფინანსური დანაკლისი, რომელიც არ გამომდინარეობს სიცოცხლის ხელყოფის, სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების ან ნივთის დაზიანებიდან.⁴⁶

⁴² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.05.2011., Nას-714-670-2012 განჩინება

⁴³ კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 131-132

⁴⁴ ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მე-4 გამოცემა, გვ. 29, ხელმისაწვდომია: <http://www.fls.ge/uploads/library/kVMJYT9WwSXyHhpR3JnEoY5rb59YvDpr.pdf>

⁴⁵ Moreteau O., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz, 2015, გვ. 75, იქვე, ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მე-4 გამოცემა, გვ. 30, ხელმისაწვდომია: <http://www.fls.ge/uploads/library/kVMJYT9WwSXyHhpR3JnEoY5rb59YvDpr.pdf>

⁴⁶ Van Dam C., European Tort Law, Oxford, 2013, გვ. 208

2.2. დელიქტური ვალდებულების წარმოშობის წინაპირობები

სსკ-ის 992-ე მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. დელიქტურ სამართალში მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი სწორედ სსკ-ის 992-ე მუხლია. მოცემული ნორმა ადგენს იმ ოთხ ძირითად პირობას, რომელთა არსებობაც სავალდებულოა დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის. ამდენად, იმისათვის, რომ წარმოიშვას ზიანის ანაზღაურების წინაპირობა, სახეზე უნდა იყოს პირის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედება (უმოქმედობა), წარმოშობილი ზიანი და მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.⁴⁷

2.2.1. ზიანი

2.1.1.1. ზიანის ცნება

საქართველოს კანონმდებლობით ზიანის ლეგალურ დეფინიცია არ არის განსაზღვრული, ამიტომ მისი განმარტება იურიდიული ლიტერატურისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე უნდა მოხდეს.

„ზიანის“ ინგლისური შესატყვისი - damage, წარმოდგება ლათინური სიტყვიდან - domnum, რაც „დანაკარგს“, „დაკარგვას“ ნიშნავს და „მიღებას“, „მოგებას“ უპირისპირდება.⁴⁸ როგორც წესი, ზიანის ცნებაში მოიაზრება პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი,⁴⁹ პირის უფლებების ან კეთილდღეობის განადგურება, დამცირება. ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების მისი ნების გარეშე ხელყოფას.⁵⁰ „ბუნებრივ ზიანად“ მიიჩნევა ყოველგვარი დანაკარგი, რომელიც პირის პირად სიკეთეს (მაგ.: პატივი, საკუთრება, ქონება) მიადგება. ზიანის ქვეშ მოიაზრება როგორც მატერიალური (ქონებრივი), ასევე, არამატერიალური (არაქონებრივი) ზიანი. პასუხისმგებლობა

⁴⁷ ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე. ჟურნ: *ადვოკატი N2*, თბილისი, 2013, გვ.29

⁴⁸ Moreteau O., *Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective* (ed: H. Koziol), Vienna/Graz, 2015, გვ. 36

⁴⁹ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 82

⁵⁰ ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე. ჟურნ: *ადვოკატი N2*, თბილისი, 2013, გვ.31

ორივე სახის ზიანისთვის სხვადასხვაგვარად წესრიგდება. ე.წ. სხვაობათა ჰიპოთეზის თანახმად, ყოველთვის სახეზეა ქონებრივი ზიანი მაშინ, როდესაც პირის ქონება ზიანის გამომწვევი მოვლენის შედეგად იმაზე ნაკლები გახდა, ვიდრე ამ მოვლენის გარეშე იქნებოდა.⁵¹

ზიანის არსებობა ნებისმიერი კომპენსაციის წინაპირობაა. თავად ზიანის წინაპირობა კი სამართლებრივად დაცული ინტერესისათვის ვნების მიყენებაა.⁵² სახეზე უნდა იყოს ის გაუფასურებული ინტერესები, რომელთაც სამართლებრივი სისტემები იცავს.⁵³ ზიანი არის განსხვავება ამჟამინდელ მდგომარეობასა და ზიანის მიმყენებლის მიერ ქმედების განხორციელებამდე არსებულ მდგომარეობას შორის.⁵⁴

2.2.1.2. ზიანის სახეები

ერთმანეთისაგან განასხვავებენ მატერიალურ და მორალურ ზიანს.⁵⁵

2.2.1.2.1. მატერიალური ზიანი

მატერიალური ზიანი არის ქონებრივი დანაკლისი, რომელიც პირს მიადგა გარკვეული მოვლენის შედეგად. ასეთ ზიანში იგულისხმება არა მხოლოდ დაზარალებულის ქონებრივი აქტივების შემცირება, არამედ პასივების/გასავლის გაზრდაც.⁵⁶ მატერიალური ზიანი ყოველთვის დაკავშირებულია დაზარალებულის ქონებრივ დანაკარგებთან. მატერიალური ზიანი მოიცავს, როგორც დანაკარგებს, რომლებიც მხარემ ფაქტობრივად განიცადა, ისე იმ შემოსავალს, რომელიც მხარემ ვერ მიიღო და მიიღებდა სამართალდარღვევა რომ არ მომხდარიყო.⁵⁷ მატერიალური ზიანის შემთხვევაში,

⁵¹ კროპკოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.118

⁵² Moreteau O., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz , 2015, გვ. 36

⁵³ Moreteau O., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz , 2015, გვ. 37

⁵⁴ Yamamoto K., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz , 2015, გვ 563, ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 65-66

⁵⁵ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 66, ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ჟურნ: ადვოკატი N2, თბილისი, 2013, გვ.31

⁵⁶ ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე. ჟურნ: ადვოკატი N2, თბილისი, 2013, გვ.32

⁵⁷ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ 66

დაზარალებული პირის ზიანის ფულადი სახით გამოსახვა შესაძლებელი უნდა იყოს.⁵⁸

სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც.

ფაქტობრივად დამდგარი, რეალური ზიანი, არის ის ზიანი, რომლის ანაზღაურებითაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა ხდება. მისმა ანაზღაურებამ უნდა უნდა უზრუნველყოს ისეთი ფაქტობრივი მდგომარეობის შექმნა, რომელიც იარსებებდა ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება რომ არ დამდგარიყო.⁵⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა იზიარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისთვის წინასწარ სავარაუდო იყო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს თავის თავზე მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულის გამო, მისგან შეიძლება მხოლოდ მოთხოვნილი იქნეს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება. 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზარალი არის ასეთი ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდოობა დგინდება გონივრული ადამიანის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების კონკრეტული დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი უნდა აანაზღაუროს ყოველთვის, მაგრამ მხოლოდ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში.⁶⁰

⁵⁸ ჰართმანი მ., ზიანის ანაზღაურება ქართულ სამართალში (მოსამართლეთა ტრენინგის კონსპექტი), თბილისი, 2018, გვ. 20

⁵⁹ Curch/Rorbett/Richard/White, tort law, American and lousiana perspective, 2008, 383, მითითებულია: ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 652

⁶⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.06.2012წ. Nას-630-593-2012 განჩინება

„მიუღებელი შემოსავალი, თავისი ბუნებით გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“ (pure economic loss), რომელიც მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა მოვლენები მართლზომიერების ფარგლებში რომ მოთავსებულიყო.“⁶¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ მოგებას, რომელიც შესაძლოა მიღებულიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების ისეთი ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ეჭვის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით.“⁶²

2.2.1.2.2. მორალური ზიანი

სსკ-ის 413-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხი პრობლემურია, გამომდინარე იქიდან, რომ იგი თვალთ უხილავია და რთულია იმის მტკიცება,

⁶¹ Quinn, Tort Law, 2012, 2, მითითებულია: ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 653

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2019წ. Nზს-740-736(კ-17) განჩინება

რომ კონკრეტული არამატერიალური სიკეთის ხელყოფის შედეგად ფიზიკური ტკივილი თუ სულიერი განცდა განიცადა პირმა.⁶³

მორალური (არაქონებრივი) ზიანის დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა, დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა, ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მარლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი გულისხმობს ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალური ფასეულობების ხელყოფით.⁶⁴

მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, აგრეთვე, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვ.⁶⁵

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, „მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია, ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მხოლოდ ქონებრივ ზიანს, მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება, მორალური ზიანის ანაზღაურება კანონით ზუსტად განსაზღვრულ ფარგლებშია მოქცეული, ამგვარი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძვლად.“⁶⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის

⁶³ ტარტარაშვილი ნ., არაქონებრივი ზიანისთვის დელიქტური პასუხსმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურების ფარგლები, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი*, NI(61), 2019, გვ.185

⁶⁴ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 469

⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2019წ. Nბს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილება

⁶⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.11.2010წ. Nას-868-817-2010 განჩინება

გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით.⁶⁷ დღესდღეობით, მითითებული მიდგომა შეცვლილია, რაც პოზიტიურ სიახლედ უნდა ჩაითვალოს. უზენაესი სასამართლოს უახლესი პრაქტიკის შესაბამისად, „უდავოა, რომ ახალგაზრდა შვილის გარდაცვალებით მშობელი განიცდის მნიშვნელოვან მორალურ ტკივილს, რაც დაკავშირებულია განგრძობად ნეგატიურ განცდებთან და სტრესულ მდგომარეობასთან.“⁶⁸ აღნიშნული მიდგომის ჩამოყალიბება განაპირობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილებამ⁶⁹, სადაც სასამართლომ მიუთითა გარდაცვლილის დედისათვის განცდილი მორალური ტანჯვით მიყენებული ზიანის კომპენსირების აუცილებლობაზე.

აღსანიშნავია, რომ დელიქტური წესით ანაზღაურებად ზიანს წარმოადგენს ნებისმიერი მატერიალური ქონებრივი ზიანი, ამასთანავე, სსკ-ის 413-ე მუხლის წინაპირობების შესრულების შემთხვევაში არამატერიალური ქონებრივი ზიანი.⁷⁰ მითითებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას აღნიშნა, რომ „რაც შეეხება სკ-ს 997-ე მუხლს, იგი დელიქტური ვალდებულებაა, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ მატერიალური ზიანის ანაზღაურებას“ და იგი სასამართლოს მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას არ უნდა გამოეყენებინა.⁷¹

2.2.2. მართლწინააღმდეგობა

დელიქტური პასუხისმგებლობის შერაცხვის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტი არის მართლწინააღმდეგობა. მართლწინააღმდეგობის განმარტებას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. იურიდიული ლიტერატურისა და

⁶⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.11.2010წ. Nას-868-817-2010 განჩინება, სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 24.04.02წ. N3კ-1218-01 გადაწყვეტილება, სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 27.09.06წ. Nას-105-545-06 გადაწყვეტილება, სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 06.04.01წ. N3კ/242 განჩინება

⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 16.05.2019წ. Nბს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილება

⁶⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლის 19.07.2018წ. (საჩივარი N58240/08) გადაწყვეტილება საქმეზე: სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ (SARISHVILI-BOLKVAZDE v. GEORGIA)

⁷⁰ რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, გვ. 208

⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 11.12.2002წ. N 3კ-1212-02 განჩინება

სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, მასში იგულისხმება პოზიტიური (დაწერილი) სამართლისადმი წინააღმდეგობა.⁷² ამდენად, მართლსაწინააღმდეგობა შეიძლება განიმარტოს, როგორც სამართლებრივი ნორმის დარღვევა.⁷³ დელიქტური მართლწინააღმდეგობის განსაზღვრისათვის აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების შინაარსობრივი, სისტემური და ტელეოლოგიური ანალიზი. „სადავოა, თუ რას ეხება მართლწინააღმდეგობის შეფასება - დამდგარ შედეგს“⁷⁴ (სამართლებრივი სიკეთისთვის ზიანის მიყენება) თუ ზიანის მიმყენებლის მხრიდან ზიანის მიმყენებელ მოქმედებას.⁷⁵ სსკ-ის 992-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს ქმედების მართლწინააღმდეგობაზე, რაც, ერთი შეხედვით, გამორიცხავს მართლწინააღმდეგობის შეფასებას შედეგის მიხედვით, თუმცა, სსკ-ით გათვალისწინებულია ბრალის (ე.ი. ბრალეული ქმედების) გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებიც (მაგ: სსკ-ის 999-ე და მე-1000 მუხლები), ამდენად კანონმდებელი ზოგიერთ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების აუცილებელ პირობად არ მიიჩნევს მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის ფაქტს და ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის საკმარისად მიიჩნევს უფლების მართლსაწინააღმდეგო შელახვის ფაქტის, როგორც შედეგის დადგომას.⁷⁶

2.2.3. მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის

ზიანის მიმყენებლის მიერ ქმედების განხორციელება ჯერ კიდევ არ იგულისხმობს ზიანის ანაზღაურების უპირობო საფუძველს. ქმედების შესაბამისი ნეგატიური შედეგის არსებობა პასუხისმგებლობისათვის

⁷² Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 79, ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., *სახელმეცრულებო სამართალი*, თბილისი, 2014, გვ. 684

⁷³ ძლიერიშვილი, ზ., *მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება* სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე. *ჟურნ: ადვოკატი N2*, თბილისი, 2013, გვ. 34

⁷⁴ Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 698

⁷⁵ Moreteau O., *Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective* (ed: H. Koziol), Vienna/Graz, 2015, გვ. 70, კროპკოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, გვ. 639

⁷⁶ Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 79-80

აუცილებელი წინაპირობაა, ე.ი. აუცილებელია ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის პირდაპირი კავშირის (მიზეზობრივი კავშირი) დადგენა.⁷⁷

იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის, უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მისი მოქმედების (უმოქმედობის) უშუალო შედეგს ე.ი. არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის.⁷⁸

მიზეზობრივი კავშირის ცნება პირდაპირ არის დაკავშირებული მიზეზთან, როგორც ფილოსოფიურ და ლოგიკურ კატეგორიასთან. ⁷⁹ გერმანელები, ისევე როგორც, ამერიკელები და ინგლისელები მიიჩნევენ, რომ ზიანის მიმყენებლის ქმედება (ან ქცევა, რომლისათვისაც იგი პასუხს აგებს) არ შეიძლება ჩაითვალოს მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების სამართლებრივ „მიზეზად“; თუ არ დადასტურდება, რომ ის არის ზიანის მიყენების სულ მცირე ერთ-ერთი პირობა.⁸⁰

მიზეზობრიობის კატეგორია ფილოსოფიურია და გულისხმობს ყველა იმ აუცილებელი პირობის ერთობლიობას, რომელთა გარეშე კონკრეტულ დროსა და ადგილას შედეგი არ დადგებოდა. იურისპრუდენციაში მიზეზობრივი კავშირი მოვლენებს შორის იმგვარი კავშირია, როცა ერთი მოვლენა (მიზეზი) წინ უძღვის მეორეს (შედეგს) და წარმოშობს მას. დღესდღეობით დამკვიდრებულია ადეკვატური მიზეზობრიობის თეორია, რომელმაც შეცვალა ეკვივალენტური ანუ პირობათა ტოლფასოვნების თეორია (conditio sine qua non)⁸¹.

თუ ამ უკანასკნელის თანახმად, შედეგის საერთო მიზეზი პირობათა ერთობლიობაა, თითოეული პირობა კი კერძო მიზეზი, რომელთაც შედეგის

⁷⁷ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 687

⁷⁸ Markesinis, B.S., Unberath, H., The German Law of Torts, A Comparative Treatise. Oxford and Portland, 2002, გვ. 103, კვანტალიანი ნ., მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, ჟურნ.: *მართლმსაჯულება და კანონი* N2(33)'12, თბილისი, გვ. 6, ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 68

⁷⁹ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 687

⁸⁰ Markesinis, B.S., Unberath, H., The German Law of Torts, A Comparative Treatise. Oxford and Portland, 2002, გვ. 103

⁸¹ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 90

დადგომაში თანაბარი მნიშვნელობა აქვთ, ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიით შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.⁸²

მიზეზობრივი კავშირი არის სახეზე, როდესაც ზიანი მოვალეობის ჩვეულებრივი შესრულების დროს დგება. სამართლებრივი თვალსაზრისით, მიზეზობრივი კავშირი არ არსებობს, როდესაც ზიანი დადგა ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებს გარეთ (ადეკვატურობის თეორია).⁸³

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „მიზეზობრივი კავშირი მიზეზსა და შედეგს შორის აუცილებელი კავშირია, რაც გულისხმობს ორი მოვლენის არა უბრალო ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას, არამედ შედეგის აუცილებელ თანმიმდევრობას თავისი მიზეზის მიმართ. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის დადგენა ინდივიდუალურად ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით. კაუზალობაზე მსჯელობისას უნდა შეფასდეს არა ობიექტური შესაძლებლობა შედეგის დადგომისა, არამედ უკვე დამდგარი შედეგის კავშირი კონკრეტულ გარემოებებთან. შესაბამისად, მიზეზობრიობის მთავარი ასპექტია არსებითი კავშირი, სადაც დამოკიდებულება მიზეზსა და შედეგს შორის აქტიურ ხასიათს ატარებს.“⁸⁴

2.2.4. ბრალი და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევები

სსკ-ის 395-ე მუხლის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.⁸⁵ ამდენად, ზიანის მიმყენებელი პასუხს აგებს, როგორც წესი, მხოლოდ ბრალეულად მიყენებული ზიანისათვის,

⁸² ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 83, ლუთინი გ. ჰაუსი პ., დელიქტური სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბილისი, 2011, გვ. 19

⁸³ Dettenberk S., *Allgemeine Verwaltungsrecht mit Verwaltungsprozessrecht*, Munchen, 2005, 363, მითითებულია: მაკარიძე დ., ხაზარაძე გ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბილისი, 2014, გვ. 61

⁸⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.10.2017წ. Nზს-830-822(კ-16) განჩინება

⁸⁵ შდრ. გსკ-ის 276-ე პარაგრაფი

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ერთი პირის ბრალეული ქმედების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება ეკისრება სხვა პირს, მიუხედავად მისი პირადი ბრალის არ არსებობისა. ამის ნათელი მაგალითია სსკ-ის 997-ე მუხლი, რაზე დაწვრილებით ქვემოთ იქნება საუბარი.

ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის თანახმად, რომელიც სისხლის სამართლის მეცნიერებაში მე-20 საუკუნემდე იყო დამკვიდრებული, ბრალი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი ფსიქიკური დამოკიდებულებაა, გამოხატული განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით ე.ი. მითითებული თეორიის თანახმად, ბრალის არსი ფსიქოლოგიური ფენომენია.⁸⁶ ზემოაღნიშნულ პოზიციას უპირისპირდება ბრალის სოციალური არსი, რომლის თანახმადაც ბრალი არის მოვალეობებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენით ვლინდება.⁸⁷

თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში აღიარებულია ბრალის წმინდა შეფასებითი ანუ ნორმატივისტული (ნორმატიული) თეორია, რომლის თანახმად, ბრალი არის არა ფსიქოლოგიური, არამედ ნორმატიული კატეგორია და მიიჩნევა არა ქცევის განსაზღვრულ ფსიქიკურ მხარედ, არამედ შეფასებით მსჯელობად ადამიანის შინაგანი ქცევის განსაზღვრულ ხასიათზე ვალდებულების შეუსრულებლობის შეფასებად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი განამტკიცებს ბრალის ნორმატიულ თეორიას.⁸⁸

თანამედროვე პოზიტიური სამოქალაქო სამართალი არ იცნობს ბრალის ცნებას, მას განსაზღვრავს დოქტრინა, რომელიც უარყოფს ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას და მიიჩნევს, რომ ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნების დაცვა.⁸⁹ შესაბამისად, პირის ბრალეულობის დასადგენად საჭიროა გაირკვეს,

⁸⁶ ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ. 208

⁸⁷ ნაჭყებია. გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001, გვ. 258-260

⁸⁸ ნაჭყებია. გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001, გვ. 258-260, ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 87

⁸⁹ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 88,

გამოავლინა თუ არა მან ნამდვილი მეურნისათვის, ჭეშმარიტი მესაკუთრისათვის დამახასიათებელი მზრუნველობა.⁹⁰

მართალია, ბრალს განსაზღვრავს სუბიექტური ელემენტი, თუმცა, პრაქტიკაში ბრალის არსებობა ობიექტური გადმოსახედიდან უნდა შეფასდეს. ამ კუთხით მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამდენად ეკისრებოდა ზიანის მიმყენებელ პირს დაზარალებულის უფლებებისა და ინტერესებისადმი გულისხმიერება. ამდენად, უფლების დამრღვევის ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა) უნდა დადგინდეს არა იზოლირებულად, არამედ დარღვეული უფლების დაცვის ინტერესთან ურთიერთკავშირში.

2. 2.4.1. ბრალის ფორმები

ბრალი შეიძლება გამოვლინდეს როგორც განზრახვის, ისე გაუფრთხილებლობის ფორმით. აღსანიშნავია, რომ ბრალის ფორმების სამართლებრივი შინაარსი კერძო სამართალში განსხვავდება სისხლის სამართლის ანალოგიური ცნებებისაგან.⁹¹

2. 2.4.1.1. განზრახვა

„სამოქალაქო სამართალში განზრახვა არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი, ანუ შედეგის ცოდნა და სურვილი მართლსაწინააღმდეგო შეგნებით,“⁹² თუმცა ცოდნის ელემენტი არ გულისხმობს იმას, რომ ზიანის მიმყენებელს სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ყველა მნიშვნელოვან გარემოებაზე.⁹³ განზრახვის დროს პირი შეგნებულად, წინასწარგანზრახულად არ ასრულებს მოვალეობას ან არაჯეროვნად ასრულებს მას და ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას.⁹⁴ განზრახვა უნდა მოიცავდეს

⁹⁰ Гражданское и торговое право зарубежных государства, т. 1, под ред. Васильева Е.А. и Комарова А. С., М., 2004, 467, მითითებულია: ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით სამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 88

⁹¹ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 678

⁹² Fikentscher W., Schuldrecht, 8, Auflage, Berlin - New-York, 1992, 312, მითითებულია: ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ.

⁹³ მარიამიძე გ., დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 14

⁹⁴ ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ 70

უფლებისა და ვალდებულების დამრღვევ გარემოებებს. მაშასადამე, როდესაც მოვალეს უფლების ან ვალდებულების დარღვევის ცოდნის ელემენტი არ გააჩნია, მაშინ იგი, სამოქალაქო სამართალში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, განზრახვის გარეშე მოქმედებს.⁹⁵ კერძო სამართალში არ ხდება განზრახვის დაყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვად, რადგან განზრახვის არსებობა, სხვა წინაპირობებთან ერთად, უკვე გულისხმობს ანაზღაურების წარმოშობის ვალდებულებას⁹⁶ და, მიუხედავად იმისა, განზრახვა პირდაპირი იქნება თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.⁹⁷

2.2.4.1.2. გაუფრთხილებლობა

სამოქალაქო სამართალში, სისხლის სამართლისაგან განსხვავებით, ვალდებულების დარღვევა უმეტესად ხორციელდება გაუფრთხილებლობით, რაც გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულებისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას.⁹⁸

კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია მნიშვნელოვნად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგისაგან. გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას,⁹⁹ რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულების დაცვა.¹⁰⁰

გაუფრთხილებლობა, ქართული კანონმდებლობის თანახმად, ორი ფორმით არსებობს - მარტივი (*culpa levis*) და უხეში (*culpa lata*)

⁹⁵ კროპკოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, გვ.154

⁹⁶ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმწიფო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 678-680

⁹⁷ ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე. ჟურნ: ადვოკატი N2, თბილისი, 2013, გვ. 37

⁹⁸ ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელმწიფო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2009, გვ 150

⁹⁹ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 384

¹⁰⁰ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 290

გაუფრთხილებლობა. აღნიშნულ დაყოფას კონკრეტული პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რადგან გაუფრთხილებლობის ხარისხზე სამოქალაქო კოდექსი რიგ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ამყარებს.¹⁰¹

„უხეში გაუფრთხილებლობისას სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნა უჩვეულოდ მაღალი ხარისხით ირღვევა, რის გამოც განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა ხშირად ერთ სიბრტყეზე განიხილება, მარტივი გაუფრთხილებლობისას კი გონივრული წინდახედულებისა და ყურადღებიანობის დარღვევის ხარისხი მნიშვნელოვნად შემცირებულია.“¹⁰²

2. 2.4.2. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა

სსკ-ის 395-ე მუხლის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება მოვალის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

ყველა სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელია ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, აღნიშნული პრინციპი ყოველი კულტურული მართლწესრიგის ქვაკუთხედაა.¹⁰³ ქართული სამოქალაქო სამართალი, ისევე როგორც კონტინენტური ევროპის სამართალი, ზოგადად ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს ეფუძნება, მაგრამ გამონაკლისის სახით ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევებს.¹⁰⁴

¹⁰¹ ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 679

¹⁰² ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელმეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2009, გვ 151

¹⁰³ Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, Петроградъ, 1917, გვ. 286

¹⁰⁴ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 387

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში.¹⁰⁵

სსკ-ის 395-ე მუხლის მიხედვით, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნორმა, რომელიც ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს განამტკიცებს, ითვალისწინებს გამონაკლისს ამ პრინციპიდან, სსკ-ის 395.1 მუხლის მიხედვით, ბრალი ყოველთვის არ არის აუცილებელი ელემენტი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისთვის, სამოქალაქო კოდექსი იცნობს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრების კონკრეტულ შემთხვევებს, აგრეთვე, ზიანის ანაზღაურების წინაპირობად ბრალის არსებობა, შესაძლოა გამოირიცხოს მხარეთა შეთანხმებით.¹⁰⁶

დელიქტურ სამართალში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის გავრცელებული შემთხვევაა მომეტებული საფრთხის წყაროს მიერ ზიანის მიყენება. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ამ ცნებაში მოიაზრება ისეთი ობიექტები, რომელთა თვისებების გათვალისწინებით შეუძლებელია მათზე ადამიანის მიერ სრული კონტროლის განხორციელება (ობიექტის თეორია) ან ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის მომეტებულ საფრთხეს გარშემომყოფთათვის (საქმიანობის თეორია).¹⁰⁷

მაგალითად, სსკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შემთხვევას, აღნიშნული ნორმა ერთგვარი გადახვევაა იმ სამოქალაქო სამართლებლივი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც ზიანის პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული. მაშასადამე სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. როგორც ზემოთ ვახსენეთ, აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა.

¹⁰⁵ ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე. ჟურნ: *ადვოკატი* №2, თბილისი, 2013, გვ. 38

¹⁰⁶ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 387

¹⁰⁷ Флейшиц, Е. А., Обязательство из причинения вреда и из неосновательного обогащения, Москва, 1951, გვ.132

მიუხედავად ამისა, ასეთი პოტენციური საფრთხის წყაროების მოხმარება სამართლებლივად ნებადართულია.¹⁰⁸

მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის დაკისრების კიდევ ერთი შემთხვევა სსკ-ის მე-1000 მუხლით გათვალისწინებული ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისთვის პასუხისმგებლობაა.¹⁰⁹

აგრეთვე, სსკ-ის 1005.3 მუხლის მიხედვით, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამომიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სახელმწიფოებო ურთიერთობებშიც, მაგალითად, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა სახელმწიფოებო სამართალში დგება მოვალის მიერ ვადის გადაცილებისას, მაგალითად, სსკ-ის 393-ე მუხლის მიხედვით, კრედიტორი ვადის გადაცილებისას, თავისი ბრალის მიუხედავად, აგებს პასუხს საგნის შენახვის გამო წარმოშობილ ხარჯებსა და ნივთის შემთხვევით დაზიანება/დაღუპვაზე.¹¹⁰

III. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანი

სსკ-ის 997-ე მუხლის თანახმად, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიაღვა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე.

¹⁰⁸ ლუთინგვაუსი პ., დელიქტური სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბილისი, 2011, გვ. 32

¹⁰⁹ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, 406.

¹¹⁰ ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 388

რიგ შემთხვევებში, სამართლებრივი სისტემები ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სპეციფიკურ შემთხვევებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, ზედმეტად მკაცრია.¹¹¹

როგორც წესი, პირს პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი ქმედებებისთვის ან უმოქმედობისთვის.¹¹² საუკუნეების განმავლობაში პასუხისმგებლობის აღნიშნული ფორმა იყო წამყვანი და ყველაზე მნიშვნელოვანი. რა თქმა უნდა, მისი აქტუალობა დღევანდელ მსოფლიოში უმნიშვნელოვანესია, თუმცა ეკონომიკურმა ზრდამ, ინდუსტრიალიზაციამ და ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა ეკონომიკურ საქმიანობაში ისეთი მოხერხებული სისტემის დანერგვა რომელიც საშუალებას აძლევს პირს („ბიზნესმენს“, დამსაქმებელს) გამოიყენოს სხვა პირთა (როგორც გასულ საუკუნეში უწოდებდნენ - მსახურთა, დღესდღეობით კი დასაქმებულთა¹¹³) მომსახურება საკუთარი ეკონომიკური ინტერესების ხელშეწყობისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბუნებრივად წარმოიშვა ამ უკანასკნელთა (დასაქმებულთა) მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად დამსაქმებლის განსაზღვრის საჭიროება.¹¹⁴

მესამე პირის მიერ მიყენებული ანაზღაურების ინსტიტუტი სათავეს რომაული სამართლიდან იღებს. მაგალითად, რომის სამართლის მიხედვით, ოჯახის უფროსი (paterfamilias) პასუხისმგებელი იყო თავისი შვილის, აგრეთვე, თავისი მონის მიერ ჩადენილი მართლაწინააღმდეგო ქმედებისათვის. არაპირდაპირი პასუხისმგებლობის საკითხებზე მსჯელობა განსაკუთრებით გააქტიურდა შუა საუკუნეებში, მე-19 საუკუნეში კი იმ სახით ჩამოყალიბდა, როგორითაც დღესდღეობით არსებობს.¹¹⁵

როგორც წესი, მესამე პირების ან ცხოველების მიერ მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობა ეფუძნება მოპასუხის პირად ბრალს, მაგალითად, მშობელს დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ იგი სათანადო ყურადღებას არ მიაქცევს მცირეწლოვან ბავშვს, რომლის ქმედების გამოც დადგება ზიანი.

¹¹¹ Van Dam C., *European Tort Law*, Oxford, 2013, გვ. 490

¹¹² სუბიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა საკუთარი და მესამე პირის მოქმედებისათვის, *ჟურნ: მართლმსაჯულება და კანონი*, N2(33)'12, თბილისი, 2012, გვ. 25

¹¹³ Giliker p., *vicarious liability in tort, a comparative perspective*, new York, 2010, გვ 1, Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 693

¹¹⁴ Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 693

¹¹⁵ Giliker p., *vicarious liability in tort, a comparative perspective*, New York, 2010, გვ 6-8

აგრეთვე, უყურადღებოდ მიტოვებული შინაური ცხოველების მიერ მიყენებულ ზიანზე პასუხისმგებელია მათი მფლობელი.¹¹⁶ აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებში მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამსაქმებლისათვის დაკისრება. ხსენებული ვალდებულება დამოუკიდებელია დამსაქმებლის პირადი ბრალისგან და ეფუძნება მხოლოდ დასაქმებულის ბრალეულ ქმედებას.¹¹⁷

Employer's Vicarious Liability¹¹⁸ – ამ ტერმინით გამოხატავენ დამსაქმებლის პასუხისმგებლობას დასაქმებულის ქმედებისათვის საერთო და ახლა უკვე კონტინენტურევროპულ სამართლის სისტემებში.¹¹⁹ ტრადიციულად, მითითებული ტერმინით იხსენიებდნენ „ოსტატის“ პასუხისმგებლობას თავისი „მსახურის“ ქმედებისათვის“, თუმცა, დღესდღეობით პრაქტიკაში „დამსაქმებელი“ და „დასაქმებული“ გამოიყენება.¹²⁰ დამსაქმებლის არაპირდაპირი პასუხისმგებლობა არის არა დელიქტური ვალდებულების ერთ-ერთი სახე, არამედ, პასუხისმგებლობის წესი, მექანიზმი რომლის თანახმადაც, მოპასუხე პასუხს აგებს სხვისი, კერძოდ, მასზე დაქვემდებარებული პირის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედებისათვის.¹²¹

დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დამსაქმებლისათვის დაკისრება რამდენიმე მიზანს ემსახურება. პირველ რიგში, აღნიშნული ინსტიტუტი იცავს დაზარალებულებს და უზრუნველყოფს მათი უფლებების ეფექტურ და დროულ აღდგენას. ამასთანავე, ვალდებულების დამსაქმებლისთვის გადაკისრება მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნისგან იცავს დასაქმებულს. საბოლოო ჯამში, არაპირდაპირ პასუხისმგებლობას პრევენციული ფუნქცია აქვს და უზრუნველყოფს

¹¹⁶ სსკ-ის 994-ე და 1003-ე მუხლები.

¹¹⁷ Oliphant K., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz, 2015, გვ. 414

¹¹⁸ მითითებული ტერმინის ქართული შესატყვისი არ არსებობს. მიგვაჩნია, რომ მართებული იქნება თუ მას დამსაქმებლის არაპირდაპირ ან დამსაქმებლის მკაცრ პასუხისმგებლობას ვუწოდებთ.

¹¹⁹ Moreteau, O., European Group on Tort Law, Principles of european tort law, Text and Commentary, Springer-verlag/Wien, 2005, გვ. 112, Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, new York, 2010, გვ 1

¹²⁰ Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, new York, 2010, გვ 22

¹²¹ Oliphant K., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz, 2015, გვ. 414, Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, new York, 2010, გვ 1,

ვალდებულების იმ პირზე დაკისრებას, რომელიც, თავისი მდგომარეობისა და დაკავებული პოზიციის გათვალისწინებით, სწრაფად და ჯეროვნად შეძლებს ზიანის ანაზღაურებას და, შესაბამისად, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას ნაკლები საფრთხე დაემუქრება.¹²²

სსკ-ის 997-ე მუხლი დამსაქმებლისათვის მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას იძლევა. იმისათვის, რომ დაზარალებულის მოთხოვნის უფლება მითითებულ ნორმას დაეფუძნოს, საჭიროა გარკვეული წინაპირობების არსებობა¹²³, კერძოდ:

- დაზარალებულს ზიანი უნდა მიადგეს დასაქმებულის (მუშაკის) მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით;
- დასაქმებული უნდა მოქმედებდეს სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში;
- დასაქმებული უნდა მოქმედებდეს ბრალეულად.

3.1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება

იმისათვის, რომ დამსაქმებელს დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროს, ეს უკანასკნელი უნდა მოქმედებდეს თავისი შრომითი (სამსახურებრივი) მოვალეობის ფარგლებში.¹²⁴ ამდენად, მნიშვნელოვანია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლების დადგენა.

3.1.1. სამსახურებრივი მოვალეობის არსი

დამსაქმებლისათვის მკაცრი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ზიანის მიმყენებელსა ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირს შორის კონკრეტული, კერძოდ, სამსახურებრივი ურთიერთობა უნდა არსებობდეს.¹²⁵

¹²² Van Dam C., *European Tort Law*, Oxford, 2013, გვ. 491

¹²³ Oppenheim D. W., Nadborny F. A. , *Vicarious Liability Update*, 8 *International Journal of Franchising Law*, issue 2, 2010, გვ. 39

¹²⁴ Ingram J. D., *Vicarious Liability of the Employer of an Apparent Servent*, *Tort Trial & Insurance Practice Law Journal*, Vol. 41, No. 1 (Fall 2005), გვ. 1, Giliker p., *Vicarious Liability in the UK Supreme Court*, *UK Supreme Court Yearbook*, Vol. 7, 2016, გვ. 152

¹²⁵ Giliker p., *vicarious liability in tort, a comparative perspective*, New York, 2010, გვ 55

სამსახურებრივი მოვალეობა არის იმ უფლებამოსილებათა ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ პირს აკისრია თავისი სამსახურიდან გამომდინარე. გარდა იმ ზოგადი ვალდებულებებისა, რომლებიც მეტ-ნაკლებად ყველა დასაქმებულს აკისრია, მაგ: სამსახურში დროულად გამოცხადება, შინაგანაწესის დაცვა და სხვა, სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა დასაქმებულს განსხვავებული სამსახურებრივი მოვალეობები აქვს განსაზღვრული. როგორც წესი, მუშაკის სამსახურებრივი მოვალეობები წინასწარ დადგენილი და შეთანხმებულია დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.¹²⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „სამსახურებრივ მოვალეობად შეიძლება ჩაითვალოს პირისათვის ნორმატიული აქტის, შრომის ხელშეკრულების, ან ადმინისტრაციის დავალების საფუძველზე დაკისრებული მოვალეობები. სხვა შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა და რეგულირდება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დელიქტური ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმების მიხედვით.“¹²⁷ აღნიშნულიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, მეტად მარტივია იმ ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მოქმედებდა თუ არა მუშაკი საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობის სფეროში, თუმცა ამ კუთხით გასათვალისწინებელია არაერთი გარემოება.

იურიდიულ ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, იმისათვის, რომ დადასტურდეს სამსახურებრივი მოვალეობის ფარგლებში მოქმედება, უნდა არსებობდეს გარკვეული წინაპირობები, კერძოდ, როგორც წესი:

- დასაქმებული უნდა ასრულებდეს იმ საქმიანობას, რისთვისაც იგი “დაიქირავეს”;
- სადავო შემთხვევა უნდა მოხდეს მუშაკისათვის დამსაქმებლის მიერ უფლებამოსილების შესრულებისათვის განსაზღვრულ დროსა და ადგილას;

¹²⁶ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქო სასამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 80

¹²⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბილისი, 2007, გვ. 89, ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf>.

- მუშაკი, სადავო მოქმედების/უმოქმედობის ჩადენისას, უნდა მოქმედებდეს დამსაქმებლისათვის მომსახურების გაწევის (დამსაქმებლის მითითებების შესრულების) მიზნით;¹²⁸
- სავარაუდო უნდა იყოს, რომ, კონკრეტულ შემთხვევაში, დასაქმებულის ადგილას დამსაქმებელიც ანალოგიურად იმოქმედებდა.¹²⁹

როგორც აღვნიშნეთ, ზიანი უნდა დადგეს დასაქმებულისათვის დაკისრებულ მოვალეობები შესრულების პროცესში.¹³⁰ მაგალითად, იმ სამუშაოს შესრულებისას, რომელიც გამომდინარეობს როგორც შრომითი ხელშეკრულებიდან, ისე შრომითი ხელშეკრულების ფარგლებს გარეთ განხორციელებული ქმედებიდანაც, თუ იგი დამსაქმებლის მიერ იქნა დავალებული სამუშაოს პროცესთან დაკავშირებული საწარმოო ან სხვა საჭიროების გამო.

საერთო სამართლის თანახმად, მოვალეობის შესრულებად ითვლება მოსამსახურის ისეთი ქმედება, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სამუშაოს შესრულებასთან, რისთვისაც ის დაიქირავეს და ორგანულად ახასიათებს ამ შესრულებას. მაგალითად, მოსამსახურის გზა სამსახურისაკენ და სამსახურიდან შინისაკენ არავითარ კავშირში არ არის მის სამსახურებრივ მოვალეობასთან, ამიტომ მეწარმე პასუხს არ აგებს იმ ინციდენტისათვის, რომელიც მისი მოსამსახურის მიზეზით მოხდა ამ გზაზე. ხოლო თუ სამუშაოს დასრულების შემდეგ სახლში მიმავალი მოსამსახურე იღებს ხელფასს და გაუფრთხილებლობით დააშავებს მესამე პირს საწარმოს ტერიტორიაზე, ჩაითვლება, რომ დელიქტი ჩადენილია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პროცესში.¹³¹

ამოსავალი წერტილი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების ფაქტის დადგენის მიზნებისათვის იყო კონტროლის განხორციელების

¹²⁸ Larson Jr. L. W., Liability of Employer for Employee's Intentional Torts, ჟურნ: Michigan Law Review, Vol. 48, N1, 1949, გვ. 110

¹²⁹ Ingram J. D., Vicarious Liability of the Employer of an Apparent Servent, Tort Trial & Insurance Practice Law Journal, Vol. 41, No. 1 (Fall 2005), გვ. 2

¹³⁰ Markesinis, B.S., Unberath, H., The German Law of Torts, A Comparative Treatise. Oxford and Portland, 2002, გვ 696

¹³¹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 330

შესაძლებლობა დამსაქმებლის მიერ.¹³² მნიშვნელოვანია, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს მუშაკისათვის მითითებებისა და დავალებების მიცემის, მის მიერ განხორციელებული მოქმედებების კონტროლის უფლებამოსილება. დამსაქმებელი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რაც დადგა იმ დროს, როდესაც მუშაკი მის ბრძანებას ასრულებდა.¹³³ კონტროლის ტესტის (control test) თანახმად, კონტროლის განხორციელება გულისხმობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უნარს, აგრეთვე, მუშაკისათვის სამუშაოს შესრულების დროისა და ადგილის განსაზღვრას, მუშაობის წესის შემუშავებას.¹³⁴

მნიშვნელოვანია, რომ კონტროლი არ გულისხმობს კონტროლს დეტალებზე. მაგალითად, საავადმყოფოებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ქირურგების, ანესთეზიოლოგებისა და ტექნიკური პერსონალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის, იმის მიუხედავად, რომ აღნიშნული პირები ოპერაციების ჩატარების დროს კონკრეტული პანიპულაციების შესრულებისათვის არ მოქმედებენ საავადმყოფოს ადმინისტრაციის მითითებების შესაბამისად და, ხშირ შემთხვევაში, დეტალებთან დაკავშირებით საკუთარი პასუხისმგებლობით იღებენ გადაწყვეტილებებს.¹³⁵

დამსაქმებლის მკაცრი პასუხისმგებლობის დოქტრინა არ არის სტატიკური, დროთა განმავლობაში, სამსახურებრივი უფლებამოსილებათა გამრავალფეროვნების კვალდაკვალ, არაერთხელ შეიცვალა მიდგომა მითითებულ დოქტრინასთან დაკავშირებით.¹³⁶ პოსტ-ინდუსტრიულ მსოფლიოში, ტექნოლოგიური პროგრესის გათვალისწინებით, დასაქმებულებს შესაძლებლობა აქვთ სამუშაო პროცესში დისკრეციული უფლებამოსილება გამოიყენონ და მთელი რიგი მოქმედებები საკუთარი შეხედულებისამებრ, დამსაქმებლის მკაცრი მითითებების გარეშე, შეასრულონ, მაგ. ავტომანქანის შემკეთებელი მექანიკოსი, ავტომანქანის შეკეთების პროცესში, არ არის დამოკიდებული დამსაქმებლის მკაცრ მითითებებზე და საკუთარი შეხედულებით წყვეტს თუ რა მოქმედებები შეასრულოს. აგრეთვე, გემის

¹³² Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, New York, 2010, გვ 55

¹³³ Blackstone, W., Commentaries on the laws of England, Philadelphia, 1893, გვ. 272, ხელმისაწვდომია: http://files.libertyfund.org/files/2140/Blackstone_1387-01_EBk_v6.0.pdf

¹³⁴ Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, New York, 2010, გვ 58

¹³⁵ Markesinis, B.S., Unberath, H., The German Law of Torts, A Comparative Treatise. Oxford and Portland, 2002, გვ 695

¹³⁶ Cooke J., Law of Tort, twelfth edition, Malaysia, 2015, გვ. 518

შტურმანი, მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებელთან შრომით ურთიერთობაში იმყოფება, კონკრეტული მგზავრობის ფარგლებში, არ საჭიროებს დამსაქმებლის მითითებებს თუ როგორ მართოს გემი.¹³⁷

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით „კონტროლის ტესტის“ გამოყენება შედარებით არაეფექტური გახდა და მას მოგვიანებთ ჩაენაცვლა ბიზნეს ინტეგრაციის ტესტი - Business Integration Test, რომელსაც საფუძველი დაუდო გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლო გადაწყვეტილებამ, საქმეზე სტივენსონი *Stevenson v. McDonald*. ამ საქმეზე მოსამართლე ლორდ დენინგმა განმარტა, რომ პირი არის დასაქმებული, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედება მეორე პირის (დამსაქმებლის) საქმიანობის შემადგენელი ნაწილია.¹³⁸

კონტროლის ტესტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში, დამსაქმებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას ამ უკანასკნელის პირადი ბრალი უდევს საფუძველად, რაც ქართული სინამდვილისათვის უცხოა. კონტროლის ტესტის შედეგად, დამსაქმებელს პასუხისმგებლობა ეკისრება არა დასაქმებულის, არამედ საკუთარი ბრალისათვის, როგორც ეს გერმანულ სამართალშია.¹³⁹ ამასთან, საერთო სამართალში არსებობს მოსაზრება, რომ დამსაქმებელზე პასუხისმგებლობის დაკისრება დასაქმებულის უპასუხისმგებლო არჩევით არ არის გამართლებული, რადგან თვით სრულყოფილი თანამშრომელიც კი არ არის დაზღვეული პროფესიული უზუსტობისაგან.¹⁴⁰

3.1.2. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დრო და ადგილი

როგორც წესი, სამუშაოს შესრულების დრო და ადგილი წინასწარ არის შეთანხმებული დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის.

სშკ-ის 6.9 მუხლის შესაბამისად, შრომითი ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობაა სამუშაო დრო და დასვენების დრო, ამასთანავე, სამუშაო ადგილი. სამუშაო დრო, უმრავლეს შემთხვევაში, გამოისახება საათებით,

¹³⁷ Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, New York, 2010, გვ 60

¹³⁸ შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გვ 225

¹³⁹ იქვე, გვ. 216

¹⁴⁰ John Cook -“Law of Tort”, fifth edition, England, Harlow, 2001, p. 334, მითითებულია შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გვ. 216

სამუშაო ადგილი კი კონკრეტული ტერიტორიის მითითებით. „სამუშაო დროში შედის და ანაზღაურებადია სამუშაოს ფაქტობრივი შესრულებისა და სამუშაოს მომზადებისათვის დახარჯული დრო, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ხორციელდება უშუალოდ სამუშაო ადგილზე.“¹⁴¹

ქართული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამუშაო დროის დეფინიციას, თუმცა სშკ-ის მე-14 მუხლიდან ირკვევა, რომ სამუშაო დრო ეს არის დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ერთი შეხედვით, სამუშაო დროდ კვალიფიცირდება მხოლოდ სამუშაოს ფაქტობრივად შესრულების პროცესი, თუმცა არ იქნება მართებული, თუ ვიტყვით, რომ სსკ-ის 997-ე მუხლის მიზნებისთვის მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილი უნდა იყოს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროის კონკრეტულ ქრონოლოგიურ მონაკვეთში, მაგ: სამუშაო საათებში, არამედ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილი უნდა იყოს მაშინ, როცა პირი მოქმედებს სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაბამისად.

როგორც წესი, სამუშაოთა ძირითადი ნაწილი მოიცავს სამუშაოს მუდმივად ფაქტობრივ შესრულებას. ამავდროულად, ზოგიერთი სამუშაო, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა, ყოველთვის არ მოითხოვდეს ფაქტობრივად მუშაობას. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც დასაქმებული ვალდებულია, სამუშაო დროის განმავლობაში იმყოფებოდეს სამუშაო ადგილზე და ამავდროულად მას არ აქვს პირადი სურვილით სამუშაო ადგილის დატოვების უფლება. მაგალითად, მეხანძრის, ექიმის ცვლაში მუშაობა, რა დროსაც დასაქმებული ფიზიკურად იმყოფება სამუშაო ადგილზე და მუდმივ მზადყოფნაშია, შეასრულოს შრომითი მოვალეობები, შესაბამისი მოთხოვნისა და საჭიროებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სამუშაო დროდ ერთ შემთხვევაში მიიჩნევა სამუშაოს ფაქტობრივად შესრულების პერიოდი, ასევე დროის ის მონაკვეთი, როდესაც დასაქმებული ფიზიკურად იმყოფება სამუშაო

¹⁴¹ ბაჯიაშვილი მ., სამუშაო დროის თავისებურებანი საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით (შედარება გერმანიის შრომის სამართალთან), შრომის სამართალი, სტატიათა კრებული II, თბილისი, 2013, გვ. 81

ადგილზე, ფაქტობრივად არ ასრულებს სამუშაოს, თუმცა დამსაქმებლის განკარგულებაშია.¹⁴²

საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის (ILO) 30-ე კონვენციის მიზნებისათვის სამუშაო დრო გულისხმობს დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული პირი იმყოფება დამსაქმებლის განკარგულებაში.¹⁴³

3.2. სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელი პირი

სსკ-ის 997-ე მუხლში გამოყენებულია ტერმინი „მუშაკი“. აღნიშნული მუხლის მიზნებისათვის, „მუშაკად“ უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ ის პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე ასრულებს სამუშაოს, არამედ ისიც, რომელიც სამუშაოს სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს.¹⁴⁴

იმ შემთხვევაში, თუ 997-ე მუხლში მითითებულ „მუშაკში“ მხოლოდ შრომით ურთიერთობაში დასაქმებულ პირს ვიგულისხმებდით, ამით ძალზე შეიზღუდებოდა ამ ნორმის გამოყენების სფერო, რადგან დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობის მსგავსი ურთიერთობა შეიძლება სამუშაო ურთიერთობის გარეშეც წარმოიშვას. მაგალითად, გერმანული სამართლის მიხედვით ხსენებულ ტერმინში იგულისხმება ნებისმიერი პირი, რომელსაც ქირაობს სხვა პირი რაიმე საქმიანობის განხორციელების მიზნით, რომელიც ამის საფუძველზე ექცევა დამქირავებლის (დამსაქმებლის) გავლენის სფეროში და რომელიც გარკვეულ სუბორდინაციულ ურთიერთობაშია სამუშაოს მიმცემთან.¹⁴⁵ ამდენად, სამუშაოს შემსრულებელ პირად, შეგვიძლია ვიგულისხმოთ ნებისმიერი პირი, რომელიც ექვემდებარება დამსაქმებლის მითითებებსა და კონტროლს¹⁴⁶ და, ამასთანავე, მის მიერ განხორციელებული ქმედება დამსაქმებლის საქმიანობის შემადგენელი ნაწილია.

¹⁴² შველიძე ზ., ბოდონე ქ., თოდრია თ., საჟომია თ., გუჯაბიძე ნ., მესხიშვილი ქ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, საქართველო, გვ. 194-195

¹⁴³ International Labour Conference, Report III (Part 1B) General Survey of the reports concerning the Hours of Work (Industry) Convention, 1919 (No. 1), and the Hours of Work (Commerce and Offices) Convention, 1930 (No. 30), “Hours of Work, from fixed to flexible?”, Switzerland, 2005, გვ. 17, ხელმისაწვდომია: <https://www.ilo.org/public/english/standards/relm/ilc/ilc93/pdf/rep-iii-1b.pdf>

¹⁴⁴ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 401

¹⁴⁵ ლუთინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბილისი, 2011, გვ. 27-28

¹⁴⁶ Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, New York, 2010, გვ 57

3.2.1. შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

სშკ-ის მე-2 მუხლის მიხედვით, „შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით.“

2006 წლამდე მოქმედ შრომის კანონთა კოდექსში¹⁴⁷, სსკ-ის 997-ე მუხლის მსგავსად, სამუშაოს შემსრულებელი მოხსენიებული იყო აგრეთვე, როგორც „მუშაკი“. საქართველოს შრომის კოდექსის პროექტი თავდაპირველად ითვალისწინებდა ტერმინს „დაქირავებული“, თუმცა საბოლოოდ, შრომით ურთიერთობაში სამუშაოს შემსრულებელი მოხსენიებულია როგორც „დასაქმებული“.¹⁴⁸

სშკ-ის 3.3 მუხლის შესაბამისად, დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს.

დღევანდელ მსოფლიოში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სტატუსის განსაზღვრა გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, კერძოდ, ტექნოლოგიურმა პროგრესმა, ინტერნეტქსელების გაფართოებამ და ახალი პროფესიების გაჩენამ შრომის ორგანიზაციის ახალი მოდელები დაამკვიდრა, რამაც, თავის მხრივ, შექმნა ისეთი სამუშაოს სახეებიც, რომლებიც შრომითი და სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების სინთეზის შედეგია.¹⁴⁹

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სამართლებრივ სტატუსს, პირველ რიგში, ქვემდებარეობის პრინციპი განაპირობებს. ქვემდებარეობის პრინციპი შრომითი ურთიერთობის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანია, რადგან შრომის სამართალი, როგორც სამართლის

¹⁴⁷ ძალადაკარგულია 25.05.2006წ. N3132 საქართველოს კანონით

¹⁴⁸ შველიძე ზ., საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული I), თბილისი, 2011, გვ. 100

¹⁴⁹ ქარდავა ე., შრომისა და ნარდობის ხელშეკრულებების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, *სამართლის ჟურნალი*, N2, თბილისი, 2009, გვ. 216.

დარგი არეგულირებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობას, რომელიც დაქვემდებარებულ მდგომარეობაში ხორციელდება.¹⁵⁰

სწორედ ქვემდებარეობის ელემენტი წარმოადგენს დამსაქმებელზე პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საფუძველს. მიიჩნევა რომ, დამსაქმებლის პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული მითითებების მიცემისა და სამუშაოს შესრულების პროცესზე ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობა.¹⁵¹ ქვემდებარეობის პრინციპთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ „შრომითი ხელშეკრულება ვალდებულებითი ხელშეკრულების სპეციალური სახეა და მას კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან განასხვავებს ის გარემოება, რომ შრომითი ხელშეკრულების დადების შემდეგ კერძო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი - მხარეთა თანასწორობის პრინციპი გარკვეულ სახეცვლილებას განიცდის და დაქირავებული დამოკიდებულია დამქირავებლის ნებაზე, მის მითითებებზე და მის მიერ განსაზღვრულ სამუშაო თუ ორგანიზაციულ პირობებზე. ამდენად, ამ ურთიერთობებში აშკარად გამოკვეთილია დამქირავებლის უპირატესი მდგომარეობა “სუსტ” მხარესთან - დაქირავებულთან შედარებით.“¹⁵²

საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში, „კონტროლის ტესტის“ თეორიის პოპულარობის პერიოდში, დასაქმებულად მიიჩნეოდა პირი, რომელიც დამსაქმებლისაგან იღებდა მითითებებს სამუშაოს შესრულების პროცესთან დაკავშირებით და დაკისრებულ მოვალეობებს მისი კონტროლის ქვეშ ახორციელებდა.¹⁵³ დროთა განმავლობაში „კონტროლის“ ცნების მნიშვნელობა შესუსტდა და დღესდღეობით ამ უკანასკნელში დეტალური კონტროლი აღარ უნდა ვიგულისხმობთ.

¹⁵⁰ Blanpain R., Belgium International Encyclopedia for Labour Law and Industrial Relations, Balitor in Chief Blanpain R., Vol 3, the I Lague, London, Boston, 2001 p. 32 (30), მითითებულია: შველიძე ზ., საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული I), თბილისი, 2011, გვ. 91

¹⁵¹ შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გვ. 215

¹⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 23.03.2010 Nას-1261-1520-09 განჩინება

¹⁵³ შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გვ. 225

3.2.2. მენარდე

როგორც არაერთხელ ვახსენეთ, დამსაქმებელს ეკისრება მკაცრი პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისათვის, თუმცა სამართლის სისტემათა უმრავლესობა იმავე პასუხისმგებლობას არ აკისრებს დამსაქმებელს დამოუკიდებელი კონტრაქტორის ე.ი. მენარდის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის გამო.¹⁵⁴

სსკ-ის 629-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ხელშეკრულების საგანია სამუშაო, რომელიც შეიძლება იყოს როგორც გარკვეული მოქმედების, საქმიანობის განხორციელება, ასევე, ნივთის, ნაკეთობის დამზადებაც.¹⁵⁵

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისგან გასხვავებით, მენარდეს მეტი თავისუფლება აქვს მინიჭებული მუშაობის პროცესში. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში შემკვეთი საერთოდ არ ინტერესდება სამუშაო პროცესით, არამედ მისი მთავარი ინტერესი მუშაობის შედეგი, მუშაობის რეზულტატია.¹⁵⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, „ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის შრომის შედეგი. მენარდე ქონებრივად და ორგანიზაციულად დამოუკიდებელია შემკვეთისაგან და მას არ ექვემდებარება. შრომის ხელშეკრულება სხვა ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან “ქვემდებარეობის” პრინციპის მოქმედებით განსხვავდება. შრომის ხელშეკრულების ფარგლებში დაქირავებული ვალდებულია სამუშაო შეასრულოს დამქირავებლის მითითების შესაბამისად, რის სანაცვლოდ დამქირავებელი ვალდებულია, მას გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება. დასაქმებული ვალდებულია სამუშაო შეასრულოს პირადად, დაქვემდებარებულ მდგომარეობაში. დასაქმებული შეზღუდულია დამსაქმებლის მითითებებით. ის სამუშაოს ასრულებს შრომის შინაგანაწესის მიხედვით. შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული

¹⁵⁴ Cooke J., Law of Tort, twelfth edition, Malaysia, 2015, გვ. 519

¹⁵⁵ ქარდავა ე., შრომისა და ნარდობის ხელშეკრულებების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, *სამართლის ჟურნალი*, N2, თბილისი, 2009, გვ. 218

¹⁵⁶ გეგენავა ა., ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, თბილისი, 2015, გვ. 11

მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. მე-3 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დასაქმებული არის ფიზიკური პირი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, დამსაქმებლისათვის ასრულებს გარკვეულ სამუშაოს. შესაბამისად, დასაქმებული არის პირი, რომელიც ვალდებულია იმყოფებოდეს სხვის სამსახურში, ხოლო ასეთი ვალდებულება გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, დასაქმებულის დაქვემდებარებას დამსაქმებელზე. ქვემდებარეობის პრინციპი შრომითი ხელშეკრულების ძირითადი მახასიათებელი ნიშანია.¹⁵⁷

მსგავსი მიდგომაა სხვადასხვა ქვეყნებშიც, მაგ: „გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, დასაქმებულსა და მენარდეს შორის არსებული საზღვრის ხაზი დამოკიდებულია „პირადი დაქვემდებარების ხარისხზე“. დასაქმებულმა ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში უნდა შეასრულოს თავისი სამუშაო, რომლის ხასიათიც განისაზღვრება სხვა პირის მიერ.¹⁵⁸ აღნიშნულის საპირისპიროდ, მენარდე თავისუფალია თავისი შრომის ორგანიზებასა და სამუშაო საათების განსაზღვრაში. ამდენად, პერსონალური თავისუფლება არის პირის მენარდედ კვალიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი პირობა.“¹⁵⁹

რაც შეეხება საფრანგეთს, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლთან მიმართებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ პრეზუმფცია მეპატრონეს აკისრებს მისი მსახურისა და მოსამსახურის ბრალეული მოქმედებისათვის პასუხისმგებლობას. ამგვარი ურთიერთობა ყალიბდება მომსახურებისა და დაქირავებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნული საპირისპიროდ, მენარდე, რომელიც აშენებს სახლს, ხელოსანი, რომელიც შეკვეთით ამზადებს ავეჯს, არ განიხილება შემკვეთის „მსახურად“, რადგან იგი საკუთარი შეხედულებისამებრ უკეთებს ორგანიზაციას თავის

¹⁵⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 10.10.2011წ. Nსს-1129-1156-2011 განჩინება

¹⁵⁸ *Daubler W.*, Employed or Self-Employed? The Role and Content of the legal Distinction : Working People in Germany, *Comparative Labour Law & Policy Journal*, Fall, 1999, p. 3, მითითებულია: შველიძე ზ. საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული), თბილისი, 2011, გვ. 91

¹⁵⁹ *Weiss M.*, Schmidt M., *Federal Republic of Germany*, *International Encyclopedia for Labour Law and Industrial Relations*, Editor in Chief Blanpain R., Vol 6, The Hague. London. Boston, 2000, p. 43, მითითებულია: შველიძე ზ. საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული I), თბილისი, 2011, გვ. 91

შრომას.¹⁶⁰ შესაბამისად, დამოუკიდებლად მომუშავე ხელოსნები, სატვირთო ავტომანქანების მძღოლები ან მუშები არ არიან შემსრულებლები არც სსკ-ის 997-ე მუხლის, არც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 831-ე პარაგრაფის და არც საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლის მიზნებისათვის.¹⁶¹

ამდენად, ნათელია, რომ სსკ-ის 997-ე მუხლის გათვალისწინებულ დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე დამსაქმებლის პასუხისმგებლობის პრინციპს ვერ გამოვიყენებთ შემკვეთისა და მენარდის ურთიერთობაზე, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს დაქვემდებარებულობა, სამუშაო პროცესის კონტროლისა და მითითებების მიცემის შესაძლებლობა, რაც დამსაქმებლის მკაცრი პასუხისმგებლობის საფუძველია. აღსანიშნავია, რომ მითითებული მოსაზრების განსხვავებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ სსკ-ის 997-ე მუხლის შესაბამისად ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის ზიანის მიმყენებელი შრომით ან ნარდობით ურთიერთობაში უნდა იმყოფებოდეს მოპასუხესთან (დამსაქმებელთან), რაც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მსჯელობის გამო გაზიარებული ვერ იქნება.¹⁶²

3.2.3. სახელმწიფო და საჯარო მოხელე

სსკ-ის 997-ე მუხლში ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად მოხსენიებულია „პირი“, ხოლო ზიანის მიმყენებელ სუბიექტად - „მუშაკი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული ნორმით ცალსახად არ გამოირიცხება სახელმწიფო ან საჯარო მოხელის მიერ ზიანისათვის პასუხისმგებლობის სახელმწიფოსათვის დაკისრების შესაძლებლობა.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების იმ ორგანოებში (დაწესებულებებში) არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე საქმიანობა, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის

¹⁶⁰ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი N 2(37) '13*, თბილისი, 2013, გვ. 17

¹⁶¹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ.

¹⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.12.2013წ. №ას-660-627-2013 განჩინება

საფუძველზე ახორციელებენ საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობასა და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას. სახელმწიფო მოსამსახურე კი, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არის პირის, რომელსაც სახელმწიფო სამსახურში არჩევითი ან დანიშვნითი თანამდებობა უკავია და რომლის სამართლებრივი სტატუსი და უფლებამოსილება განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციის ან/და შესაბამისი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, აგრეთვე ზემოთ მითითებული პირის მოადგილე.

რაც შეეხება საჯარო სამსახურს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურში საქმიანობა, მუნიციპალიტეტის ორგანოებში (დაწესებულებებში) საქმიანობა, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობა (გარდა კულტურულ, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, სასპორტო და რელიგიურ, წევრობაზე დაფუძნებულ და ამ კანონითა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში საქმიანობისა). საჯარო სამსახურად ითვლება აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანოების აპარატებში, საქართველოს ეროვნული ბანკის აპარატში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატში, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში, საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიების აპარატებში, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქმიანობა.

საჯარო მოსამსახურე კი ზემოთ მითითებული მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, არის პირი, რომელიც უვადოდ ინიშნება მოხელისათვის განკუთვნილ საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე სახელმწიფოს, ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ, რომელიც ახორციელებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს, როგორც თავის ძირითად პროფესიულ საქმიანობას, რაც უზრუნველყოფს მის მიერ საჯარო ინტერესების დაცვას, და რომელიც ამის სანაცვლოდ იღებს შესაბამის ანაზღაურებას და სოციალური და

სამართლებრივი დაცვის გარანტიებს, აგრეთვე პირი, რომელსაც საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მინიჭებული აქვს საჯარო დაწესებულების დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესრულების უფლებამოსილება და პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სსკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, არ არის გამორიცხული სახელმწიფო ან საჯარო მოხელის მიერ ზიანისათვის პასუხისმგებლობის სახელმწიფოსათვის დაკისრების შესაძლებლობა, თუმცა სსკ-ის 1005-ე მუხლიც ითვალისწინებს სახელმწიფოს (მუნიციპალიტეტის) პასუხისმგებლობას სახელმწიფო და საჯარო მოხელეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის, კერძოდ, 1005.1 მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუ დაზარალებული განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არ შეეცადა სამართლებრივი გზებით თავიდან აეცილებინა ზიანი. მე-3 ნაწილის თანახმად კი რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის, დისციპლინური პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს აანაზღაურებს სახელმწიფო, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

ერთი შეხედვით, სსკ-ის 997-ე და 1005.1 მუხლები მსგავსი შინაარსის მატარებელია, კერძოდ, ორივე მათგანის საფუძველზეა შესაძლებელი ადმინისტრაციული ორგანოსათვის (სახელმწიფოსათვის) ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება მისი მოხელის მიერ მიყენებული ზიანის გამო, თუმცა თუ კარგად დავუკვირდებით, არსებობს მითითებულ

დანაწესებში მნიშვნელოვანი განსხვავება, კერძოდ: სსკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით დამსაქმებელს მუშაკის მიერ მიყენებული ზიანის გამო პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის ზიანის მიმიყენებელი ქმედება მოქცეულია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში, ანუ მუშაკი მესამე პირს ზიანს აყენებს სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.¹⁶³

სსკ-ის 997-ე მუხლისაგან განსხვავებით, სსკ-ის 1005-ე მუხლი ზიანის ანაზღაურების მთავარ პირობად განსაზღვრავს სახელმწიფო და საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების დარღვევას, ანუ სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებიდან გასვლას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირისათვის ზიანის მიყენება სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ უფლებამოსილების გადამეტებამ გამოიწვია, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლო უნდა დაეფუძნოს სსკ-ის 1005-ე მუხლს.¹⁶⁴

ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მიერ მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ „სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანად მიიჩნევა ისეთი ზიანი, რომელიც დადგა პირის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას ან სამსახურებრივი უფლებამოსილებების გადამეტების შემთხვევაში. როგორც წესი სწორედ უფლებამოსილების გადამეტებისას ხდება ორგანოს თანამშრომლების მიერ ზიანის მიყენება, მათ მიერ კანონის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები იშვიათად წარმოადგენენ ზიანის წარმომშობ ქმედებებს. უფლებამოსილების გადამეტება, გაუფრთხილებლობა ადასტურებს სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას და არა იმას, რომ მუშაკი კერძო პირის სახით მოქმედებს.“¹⁶⁵

მართალია, უმრავლეს შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომლების მიერ ზიანის მიყენება უფლებამოსილების გადამეტებისას

¹⁶³ Ingram J. D., Vicarious Liability of the Employer of an Apparent Servent, Tort Trial & Insurance Practice Law Journal, Vol. 41, No. 1 (Fall 2005), გვ. 1, Giliker p., Vicarious Liability in the UK Supreme Court, UK Supreme Court Yearbook, Vol. 7, 2016, გვ. 152,

¹⁶⁴ ამირანაშვილი გ., დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული II, თბილისი, 2013, გვ. 197 მერიდიანი

¹⁶⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.07.2013წ. Nბს-494-488(2კ-12) გადაწყვეტილება

ხდება, თუმცა ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ზიანის მიყენება ხდება საჯარო მოსამსახურის ისეთი ქმედებით, რომელიც არ წარმოადგენს სამსახურებრივ მოვალეობათა დარღვევას. ევროპულ სამართალში ასეთი შემთხვევები მოხსენიებულია, როგორც „Administrative Damages in Tort“¹⁶⁶ მაგალითად, როდესაც საჯარო მოსამსახურე საკუთარი ავტომატურად მიემგზავრება სამსახურებრივ საქმეზე და გზაში ახდენს ავტოავარიას, რის შედეგადაც აზიანებს სხვა პირის ქონებას. აგრეთვე, როდესაც სამსახურებრივი საქმიანობისათვის პირი შედის მაღაზიაში საკანცელარიო ნივთების შესაძენად, სადაც გაუფრთხილებლობით აზიანებს ძვირადღირებულ ლარნაკს. ნათელია, რომ ორივე შემთხვევაში ზიანი მიყენებულია საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თუმცა, ადგილი არ აქვს მოსამსახურის მიერ რაიმე სახის სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევას. ქართული კანონმდებლობის თანახმად, მითითებულ შემთხვევაშიც პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელშიც ზემოთ აღნიშნული მოსამსახურე დასაქმებული, თუმცა იმ განსხვავებით, რომ პასუხისმგებლობის საფუძვლისა და ზომის განსაზღვრა მოხდება არა ადმინისტრაციული სამართლით დადგენილი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის ნორმების ან სსკ-ის 1005-ე მუხლის საფუძველზე, არამედ სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმათა შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ პასუხისმგებლობის საკითხებს საწარმოს (ორგანოსა) და მუშაკს შორის ანუ სსკ-ის 997-ე მუხლის შესაბამისად.¹⁶⁷

ქართული სასამართლოების პრაქტიკაში მწირად მოიპოვება სსკ-ის 997-ე მუხლის გამოყენების მაგალითები. ამ კუთხით აღსანიშნავია საქმე, რომლის მიხედვითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიზიანა თვალი და დაკარგა მხედველობა. მოსარჩელეს დაუდგინდა საერთო შესაძლებლობის შეზღუდვა უვადოდ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 997-ე მუხლის თანახმად, პირი ვალდებული იყო აენაზღაურებინა ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურებრივი)

¹⁶⁶ H.W.R. Wade & C.F. Forsyth, Administrative law, Eighth Edition, Oxford, 2000, მითითებულია: ქიტოშვილი დ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ. და სხვები, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 339

¹⁶⁷ ქიტოშვილი დ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ. და სხვები, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 339

მოვალეობის შესრულებისას. პასუხისმგებლობა არ დადგებოდა, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელისათვის მიყენებული „ზიანი არ იყო მიზეზობრივ კავშირში მის სამსახურებრივ-შრომით საქმიანობასთან, დაზიანება გამოწვეული იყო მისივე გაუფრთხილებელი მოქმედებით, რაც არ იყო დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან“. საკასაციო სასამართლომ კი საქმე არ მიიღო წარმოებაში დაუშვებლობის გამო.¹⁶⁸ მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, გაუმართლებელია სსკ-ის 997-ე მუხლის გამოყენება, რადგან მოსარჩელემ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას თავად მიიღო ტრავმა, შესაბამისად, თვითონ არის დაზარალებული და არა მესამე პირი. სსკ-ის 997-ე მუხლის თანახმად კი მუშაკი უნდა იყოს ზიანის მიმყენებელი პირი და არა დაზარალებული. აგრეთვე, აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი განჩინება¹⁶⁹, სადაც ნოტარიუსისათვის მის მიერ ფიზიკური პირისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დასაკისრებლად პალატამ სსკ-ის 997-ე მუხლი გამოიყენა. ამ შემთხვევაშიც სახე იყო ორი სუბიექტი, შესაბამისად გაუმართლებელია სსკ-ის 997-ე მუხლზე მითითება.

IV. ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 997-ე მუხლში ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელ პირად, ყოველგვარი კონკრეტულის გარეშე, მოხსენიებულია „პირი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირი, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს თავისი დასაქმებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანი, შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.¹⁷⁰

¹⁶⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.12.2008წ. N ბს-1156-1118 (კ-08) განჩინება

¹⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.04.2005წ. N1254-1392-04 განჩინება

¹⁷⁰ Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ. 695, ამირანაშვილი გ., დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გვ. 205 მერიდიანი, სუბიტაშვილი დ., სუბიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი* N 2(37)'13, თბილისი, 2013, გვ. 17

4.1. ფიზიკური პირი, როგორც დამსაქმებელი

სშკ-ის 3.2 მუხლის თანახმად, დამსაქმებელი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ანდა პირთა გაერთიანება, რომლისთვისაც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სრულდება გარკვეული სამუშაო. მითითებული ნორმა ცალსახად უშვებს ფიზიკური პირის, როგორც დამსაქმებლის სტატუსს. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი იყოს ფიზიკური პირი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი ქონებით პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, როგორც წესი, დამსაქმებლები იურიდიული პირის დაფუძნებასა და მისი მეშვეობით საქმიანობას ანიჭებენ უპირატესობას. დამსაქმებლის მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპის ფიზიკური პირების მიმართ გამოყენების შესაძლებლობას ისიც ადასტურებს, რომ მითითებული პრინციპით (Vicarious Liability), საერთო სამართლის სისტემაში, გამოიხატებოდა „ოსტატის“ (The Master) ანუ უპირველესად ფიზიკური პირის, პასუხისმგებლობას თავისი „მსახურის“ ქმედებისათვის. მითითებულ ტერმინებს დროთა განმავლობაში „დამსაქმებელი“ და „დასაქმებული“ ჩაენაცვლა.¹⁷¹

4.2. იურიდიული პირი, როგორც დამსაქმებელი

როგორც უკვე აღინიშნა სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. მუშაკის გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე იურიდიული პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე მოსაზრება ჯერ კიდევ 1949 წელს იქნა წამოყენებული.¹⁷²

სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.“ იურიდიული პირი არის ერთგვარი კონსტრუქცია, რომელიც

¹⁷¹ Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, new York, 2010, გვ 22

¹⁷² Братусь С. Н., Некоторые вопросы учения о субъектах права (журн. Советское государство и право, 1949, N11, с 78, მითითებულია: ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 402

შესაძლებლობას იძლევა სამართლებრივ ურთიერთობებში დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსით მიიღონ მონაწილეობა ადამიანთა და ქონების გაერთიანების შედეგად შექმნილმა ორგანიზაციულმა წარმონაქმნებმა.¹⁷³ იურიდიული პირი სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში მისი წევრების მეშვეობით მონაწილეობს, იურიდიული პირის საქმიანობა სწორედ მისი წევრების საქმიანობად განიხილება, ამდენად, ამ უკანასკნელთა მიერ მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი იურიდიული პირია,¹⁷⁴ მიუხედავად მისი ბრალისა. თანამედროვე სამოქალაქო თუ საკორპორაციო სამართალი იურიდიული პირის ბრალში მოიაზრებს მისი ორგანოებისა და მუშაკების ბრალეულ მოქმედებას, იურიდიული პირის ბრალი გულისხმობს მთელი კოლექტივის მოქმედებას,¹⁷⁵ შესაბამისად, იურიდიული პირი პასუხს აგებს აღნიშნული ორგანოსა და მუშაკის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული არასახელმწიფო ორგანოსათვისაც. ზოგადად, იურიდიული პირის ბრალუნარიანობაზე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, თუმცა, ვინაიდან, სსკ-ის 997-ე მუხლის მიზნებისათვის დამსაქმებლის ბრალი არსებობა არ არის საჭირო, აღნიშნულ საკითხზე აღარ შევჩერდებით.

იურიდიული პირის მიერ კრედიტორისათვის ზიანის ანაზღაურების შემდეგ მას უფლება აქვს, რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს ორგანოს ან კონკრეტულ მუშაკს, მაგ: ქართულ და გერმანულ საკორპორაციო სამართალში სააქციო საზოგადოების დირექტორის წინააღმდეგ საზოგადოების სახელით ამ მოთხოვნას წარადგენს სამეთვალყურეო საბჭო.¹⁷⁶

სსკ-ის 997-ე მუხლის იურიდიული პირების მიმართ გამოყენებაზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იურიდიული პირის დირექტორის მიერ ამავე იურიდიული პირის პარტნიორისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სსკ-ის 997-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა არ არსებობდა. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „მართალია, განაჩენით დადგენილია, რომ საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების (დირექტორების) დანაშაულებრივი ქმედებით ზიანი მიადგა მოსარჩელეს, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ამავე საწარმოს პარტნიორი, არ

¹⁷³ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 215

¹⁷⁴ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 401

¹⁷⁵ Иоффе О.С., Толстой Ю.К., Новый гражданский кодекс РСФСР, Л., 1965, 231, მ ითითებულია: ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 106

¹⁷⁶ ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, თბილისი, 2009, გვ. 106

წარმოადგენს ზემოხსენებული ნორმით გათვალისწინებულ მესამე პირს, რომელსაც შეუძლია, მოთხოვნა წაუყენოს საწარმოს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის. ამასთან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საწარმოსა და დირექტორს შორის არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა არა შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და დავალების ხელშეკრულების ნორმებით წესრიგდება.“¹⁷⁷ შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ სსკ-ის 997-ე მუხლის გაგებით, დირექტორი არ განიხილება საწარმოს „მუშაკად“, საწარმოს პარტნიორი კი - „მესამე პირად“, რაც მართებულ მიდგომად უნდა ჩაითვალოს.

4.3. სახელმწიფო, როგორც ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, შესაძლებელია სს-ის 997-ე მუხლის განსაზღვრული პასუხისმგებლობა დაეკისროს სახელმწიფოს. აღნიშნულის საფუძველია სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის ისეთის მოქმედება, რომელიც არ იწვევს მათი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევას. სახელმწიფო ისევე აგებს პასუხს სსკ-ის 997-ე მუხლის შესაბამისად, როგორც დამსაქმებელი ფიზიკური და იურიდიული პირები. მოცემულ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში ჩადენილი ბრალეული ქმედება.

სსკ-ის 1005-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურის მიერ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაუროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხელის მხრიდან ადგილი აქვს სამსახურებრივ მოვალეობათა ბრალეულ დარღვევას. აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი ითვალისწინებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევას ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. აღნიშნული, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შეფასებით, გამოწვეულია იმით, რომ „უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალური ასევე მორალური ზიანი, რადგან პირის თავისუფლების ხელყოფას და ხელშეუხებლობის დარღვევას, როგორც წესი თან

¹⁷⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.10.2015წ. №ას-1165-1111-2013 განჩინება

სდევს პირის პატივისა და ღირსების, საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა. სკ-ის 1005.3 მუხლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ზიანის არსებობა, ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ნორმები, ანიჭებენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას.¹⁷⁸

V. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება - ზიანის ანაზღაურება საკუთარი თუ მესამე პირის ბრალისათვის

დასაქმებულის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამსაქმებლისათვის დაკისრება რამდენიმე ფაქტორით აიხსნება.¹⁷⁹ ცალკეული ქვეყნების სამართლებრივი მოწესრიგების მიხედვით, ზემოაღნიშნულის მიზეზი თავად დამსაქმებლის ბრალის არსებობაა. კერძოდ, დამსაქმებლის ბრალი იმაში გამოიხატება, რომ მან ხელქვეითის შერჩევასა, მასზე ხელმძღვანელობისას და კონტროლისას არ დაიცვა წინდახედულების ნორმები, აგრეთვე, არ უზრუნველყო მუშაკის პროფესიული გადამზადება. არსებობს მოსაზრება, რომ ის, ვინც სხვა პირს ავალებს რაიმე მოქმედების შესრულებას, ვალდებულია სრული გულმოდგინებით შეარჩიოს ასეთი პირი,¹⁸⁰ თუმცა არსებობს განსხვავებული მიდგომაც, რომლის თანახმად, დამსაქმებელი პასუხს აგებს დასაქმებულის

¹⁷⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. Nზს-485-474(2კ-14) განჩინება

¹⁷⁹ Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 694

¹⁸⁰ სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი* N 2(37)'13, თბილისი, 2013, გვ. 15

ბრალეული ქმედებისათვის. ამ შემთხვევაში, დამსაქმებლის პირადი ბრალის არსებობა ირელევანტურია.¹⁸¹

სამართლის სისტემათა უმრავლესობა დასაქმებულის ქმედებას დამსაქმებლის ქმედებად განიხილავს, ¹⁸² რის გამოც, დამსაქმებელს პასუხისმგებლობას თავისი პირადი ბრალის გარეშე აკისრებს. მაგალითად, საერთო სამართლისა და რომანული სამართლის სისტემის ქვეყნებში დამსაქმებლის პასუხისმგებლობისათვის საკმარისია მხოლოდ დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით ზიანის მიყენება (დამსაქმებლის პირადი ბრალის არსებობის გარეშე), თუმცა ცალკეულ ქვეყნებში დამსაქმებლის ბრალის არსებობაც სავალდებულოა. ამასთან, ამ ქვეყნების კანონმდებლობაში დამსაქმებლის ბრალი ივარაუდება დაზარალებულის სასარგებლოდ, ბრალის არარსებობის მტკიცების ტვირთი კი დამსაქმებელს აწევს.¹⁸³

გერმანული სამართლის მიხედვით, თანამშრომლების მიერ მიყენებული ზიანისათვის დამსაქმებლის პასუხისმგებლობა მთლიანად დამოკიდებულია ამ უკანასკნელის ბრალზე. აღნიშნული პრინციპი სათავეს იღებს საერთოგერმანული სამართლის ეპოქის თეორეტიკოსთა შეხედულებებიდან, რომლებიც თვლიდნენ, რომ გაუმართლებელია მუშაკის ნებისმიერი სამსახურებრივი გადაცდომისათვის დამსაქმებლის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა. აღნიშნული ეწინააღმდეგება ბრალის პრინციპს. გერმანელები დღემდე იზიარებენ იერინგის სიტყვებს: „ანაზღაურებისათვის ვალდებულს ხდის არა თავისთავად ზიანი, არამედ ბრალი.“¹⁸⁴ აღნიშნულიდან გამომდინარე, გსკ-ის 831-ე პარაგრაფის მიხედვით დამსაქმებელი დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანის გამო მხოლოდ იმ შემთხვევაში აგებს პასუხს, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ მან სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული ყველა ზომა მიიღო დაქირავებული პირის არჩევისას, ¹⁸⁵ თუმცა მსხვილ

¹⁸¹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 320

¹⁸² Markesinis, B.S., Unberath, H., The German Law of Torts, A Comparative Treatise. Oxford and Portland, 2002, გვ. 694

¹⁸³ შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გვ. 248

¹⁸⁴ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 321

¹⁸⁵ კროპპოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, გვ. 654

დაწესებულებებში რთულია, დამსაქმებელმა ამტკიცოს, რომ მან ყველა დასაქმებული გულისხმიერად შეარჩია. შესაბამისად, გარკვეული დროის განმავლობაში დამკვიდრებული იყო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია გულისხმიერად შეარჩიოს წამყვანი თანამშრომელი, მაგ: ზიანის მიმყენებლის უშუალო ზედამხედველი, თუმცა არც აღნიშნული სისტემა გამოდგა სამართლიანი და თვით გერმანული სასამართლოები ცდილობენ გვერდი აუარონ ამ პრაქტიკას.¹⁸⁶ მრავალი წინააღმდეგობის მიუხედავად, გსკ-ის 831-ე პარაგრაფი არ შეცვლილა და დამსაქმებლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ამ უკანასკნელის ბრალის არსებობას. ანალოგიურ მიდგომას იზიარებს შვეიცარიული სამართალი, კერძოდ, „ვალდებულებითი სამართლის შესახებ“ კანონის 55-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებელს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება თავისი ბრალის არსებობის შემთხვევაში.¹⁸⁷

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლის შესაბამისად, პირი პასუხს აგებს არა მხოლოდ თავისი ქმედებით მიყენებული ზიანის გამო, არამედ პირი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანიც, რომელიც გამოწვეული იმ პირების მიერ, რომლებზე თავად არის პასუხისმგებელი. ზემოთ მითითებული მუხლის მე-5 ნაწილი ითვალისწინებს დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებული მიერ მიყენებული ზიანისათვის. მოცემული ნორმა ძალაში შესვლის დღიდან განიმარტება როგორც მეწარმის აუცილებელი პასუხისმგებლობა თავისი ხელქვეითის მიერ მიყენებული ზიანის გამო.¹⁸⁸ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ფარგლებში მესამე პირისათვის ზიანის მიყენება, დამსაქმებელი პასუხს აგებს საკუთარი ბრალის გარეშე. განსხვავებით გერმანული მიდგომისაგან, ამ შემთხვევაში, დამსაქმებელი თავს ვერ გაიმართლებს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მან ყველა ღონე იხმარა კონკრეტული თანამშრომლის შერჩევისას და მასზე კონტროლის

¹⁸⁶ Markesinis, B.S., Unberath, H., *The German Law of Torts, A Comparative Treatise*. Oxford and Portland, 2002, გვ 700

¹⁸⁷ ცვაიგერტი კ., კოტცი კ., *შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი* კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 322

¹⁸⁸ Moreteau O., *Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective* (ed: H. Koziol), Vienna/Graz, 2015, გვ. 78-79

განხორციელებისას.¹⁸⁹ აღსანიშნავია, რომ ამგვარი მიდგომა მხოლოდ დამსაქმებლების შემთხვევაში გამოიყენება. მაგალითად, პედაგოგები, თავიანთი მოსწავლეების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხს აგებენ საკუთარი ბრალისათვის.¹⁹⁰

ავსტრიის სამართლის მიხედვით, დამსაქმებელზე პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, აგრეთვე, საჭიროა მისი პირადი ბრალი, თუმცა განსხვავებით გერმანული და შვეიცარული სამართლისაგან, ავსტრიის სამოქალაქო კოდექსისი 1315-ე პარაგრაფის თანახმად, მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს. ამასთანავე, დამსაქმებელი ბრალის გარეშე აგებს პასუხს იმ შემთხვევაში, თუ დაზარალებული დაამტკიცებს, რომ დასაქმებული პროფესიულად უვარგისია.¹⁹¹

საერთო სამართალში, ფრანგული სამართლის მსგავსად, მიიჩნევა, რომ დამსაქმებელზე პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი არ არის სახეზე იყოს დამსაქმებლის ბრალი.¹⁹² ამ კუთხით მნიშვნელოვანია იამაიკის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება,¹⁹³ სადაც განიმარტა, რომ „სხვისი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა, მკაცრი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი სახეა, რადგან დამსაქმებელს პასუხისმგებლობა თავისი ბრალის გარეშე ეკისრება, არსებობს შემთხვევები, როცა დამსაქმებლების ბრალიც არის სახეზე, მაგრამ აღნიშნული არ წარმოადგენს სავალდებულო პირობას.“ ამდენად, დამსაქმებელი შესაძლებელია პასუხისმგებელი იყოს დასაქმებულის ქმედებისათვის იმისგან დამოუკიდებლად, რამდენად გულისხმიერად მოახდინა მან დასაქმებულის არჩევა და ზედამხედველობა.¹⁹⁴

რაც შეეხება ქართულ მიდგომას, სსკ-ის 997-ე მუხლის მიხედვით, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებიდან მიყენებული ზიანის

¹⁸⁹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 326

¹⁹⁰ Mcivor C., Third Party Liability in Tort, Oxford and Portland, Oregon, 2006, გვ. 142

¹⁹¹ ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 322

¹⁹² Oliphant K., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz, 2015, გვ. 414

¹⁹³ The court of appeal of Jamaica, Bernard v. The Attorney General of Jamaica, Judgment 07.10.2004,

ხელმისაწვდომია: <http://www.bailii.org/uk/cases/UKPC/2004/47.html>

¹⁹⁴ შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გვ. 249, ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 329,

ანაზღაურების ვალდებულების დამსაქმებლისათვის დაკისრებისათვის ამ უკანასკნელის ბრალის არსებობა საჭირო არ არის. ზემოხსენებული ნორმა პირდაპირ უთითებს, რომ დასაქმებულის ბრალის არსებობა მისი გამოყენების აუცილებელი პირობაა, რასაც ვერ ვიტყვით დამსაქმებლის ბრალზე. ნორმის მიხედვით, დამსაქმებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, როდესაც მუშაკი ბრალის გარეშე მოქმედებს. ამ მხრივ, ქართული საკანონმდებლო მოწესრიგება ფრანგული და საერთო სამართლის მიდგომას იზიარებს. მოცემულ შემთხვევაში, დასაქმებულის ქმედება დამსაქმებლის ქმედებად განიხილება.¹⁹⁵ სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე ეკისრება ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობაც ამ უკანასკნელს. სსკ-ის 997-ე მუხლის შესაბამისად, დამსაქმებლის პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოირიცხება, თუ მუშაკი ბრალის გარეშე მოქმედებს. ამდენად, აუცილებელია ბრალეულად მოქმედებდეს დასაქმებული და არა დამსაქმებელი.

მსგავს მიდგომას იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოც და აღნიშნავს, რომ „ბრალი, რომლის არსებობა სავალდებულო პირობაა ზიანის ანაზღაურებისათვის, უნდა მიუძღოდეს საწარმოს მუშაკს და არა თვით საწარმოს.“¹⁹⁶ აღნიშნული, ერთი შეხედვით, ზედმეტად მკაცრ პასუხისმგებლობას აკისრებს დამსაქმებელს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სამუშაოს მიმცემი - დამსაქმებელი ატარებს საკუთარი მუშაკის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის რისკს.¹⁹⁷ ამასთანავე, დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემდგომ, დამსაქმებელს რეგრესის წესით გადახდილი თანხის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშობა.¹⁹⁸ უმეტეს შემთხვევაში, დამსაქმებელი, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში, დასაქმებულების მეშვეობით მონაწილეობს, სწორედ აღნიშნულით აიხსნება ამ უკანასკნელთა პასუხისმგებლობა მუშაკების მიერ მესამე პირებისათვის მიყენებული ზიანისათვის.

¹⁹⁵ ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გვ. 401, mo

¹⁹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.12.2013წ. №ას-660-627-2013 განჩინება

¹⁹⁷ ცვაიგერტი კ., კოტცი კ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გვ. 334

¹⁹⁸ შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისათვის, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გვ 255

დასკვნა

ამდენად, ნაშრომში განმარტებულ იქნა სსკ-ის 997-ე მუხლის ელემენტები - სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების არსი, სამსახურებრივი მოვალეობის შემსრულებელი პირი, ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი ანუ სამსახურის მიმცემი. აგრეთვე, მითითებული ნორმის გამოყენების წინაპირობები. სხვადასხვა სამართლის სისტემების მიდგომების გათვალისწინებით შეფასდა წარმოადგენს თუ არა სამსახურებრივი მოვალეობის შერულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამსაქმებლისათვის დაკისრების შემთხვევა მესამე პირის ბრალის გამო ზიანის ანაზღაურებას თუ სახეზე გვაქვს დამსაქმებლის მკაცრი პასუხისმგებლობა (Employer's Vicarious Liability).

ნათელია, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, როგორც პასუხისმგებლობის წესსა და მექანიზმს მეტად მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ძალზე ხშირია დასაქმებულის მიერ მესამე პირებისათვის სამსახურებრივი უფლება/მოვალეობების განხორციელების ფარგლებში ზიანის მიყენების შემთხვევები. ამდენად, მნიშვნელოვანია შეიქმნას ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკა სსკ-ის 997-ე მუხლის განმარტებასთან დაკავშირებით.

მართალია, დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამსაქმებლისათვის დაკისრება, უპირველესად, მესამე პირების უფლებების ეფექტიან დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულმა ინტერესმა გაუმართლებლად არ შეზღუდოს დამსაქმებლის უფლებები. ამისათვის აუცილებელია სასამართლოს პრაქტიკისა და სამეცნიერო ლიტერატურის დონეზე მკაფიოდ განისაზღვროს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების არსი. აგრეთვე, ურთიერთობის მონაწილე პირთა ვინაობა. როგორც კვლევამ აჩვენა, სასამართლო პრაქტიკაში არის სსკ-ის 997-ე მუხლის არასწორი განმარტებისა და ინტერპრეტაციის შემთხვევები, რაც საფრთხეს უქმნის როგორც დაზარალებულ მესამე პირთა ინტერესების დაცვას, ისე სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებას.

აღსანიშნავია, რომ დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი არ არის დარეგულირებული საქართველოს შრომის კანონმდებლობით, რაც კიდევ უფრო აქტუალურს ხდის სსკ-ის 997-ე მუხლის გამოყენებას, სასამართლო პრაქტიკაში მისი დანერგვის აუცილებლობასა და მართებულ ინტერპრეტაციას.

ბიბლიოგრაფია:

სამეცნიერო ლიტერატურა:

- ამირანაშვილი გ., დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“;
- ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გამომცემლობა „სამართალი“
- ბათლიძე გ., ბრალეული ქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, მე-4 გამოცემა, 2015
- ბაჩიაშვილი ვ., ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართალი პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, ჟურნ: *სამართლის ჟურნალი NI*, 2013 წ., ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ბაჯიაშვილი მ., სამუშაო დროის თავისებურებანი საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით (შედარება გერმანიის შრომის სამართალთან), შრომის სამართალი, სტატიათა კრებული II, თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“
- გეგენავა ა., ნარდობის ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, თბილისი, 2015, „დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა“;
- დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა, ჟურნ: *სამართლის ჟურნალი, NI*, თბილისი, 2009, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსისი ონლაინკომენტარი, <http://www.gccc.ge>, 26.10.2016, მუხლი 316
- ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, თბილისი, 2005, გამომცემლობა „ჯისიაი“

- ზოიძე, ბ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გამომცემლობა „სამართალი“
- თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 2006, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამომცემლობა
- კალმახელიძე ი., სამოქალაქო-სამართლერივი პასუხისმგებლობის ცნება, ჟურნ: *ადამიანი და კონსტიტუცია N1*, თბილისი, 2003, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილება
- კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა
- კვანტალიანი ნ., მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი N2(33)'12*, თბილისი, 2012, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის ერთობლივი ჟურნალი
- კროპჭოლერი, ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014,
- ლუთრინგჰაუსი პ., დელიქტური სამართალი (მოკლე კონსპექტები), თბილისი, 2011, გამომცემლობა „სიესტა“
- მაკარიძე დ., ხაზარაძე გ., ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის დაცვის სამართალში, თბილისი, 2014, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა
- მარიამიძე გ., დელიქტური ვალდებულებანი, I გამოცემა, თბილისი, 2011, გამომცემლობა „რაიზი“
- ნაჭყებია. გ., ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001, საგამომცემლო სახლი „ბიზნეს-კურიერი“
- რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბილისი, 2007

- სუბიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა საკუთარი და მესამე პირის მოქმედებისათვის, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი*, N2(33)'12, თბილისი, 2012, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის ერთობლივი ჟურნალი
- სუბიტაშვილი დ., სუბიტაშვილი თ., პასუხისმგებლობა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი* N 2(37)'13, თბილისი, 2013, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის ერთობლივი ჟურნალი
- სუბიტაშვილი დ., სუბიტაშვილი თ., სახელმეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი* N3(30)'11, თბილისი, 2011, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის ერთობლივი ჟურნალი
- ტარტარაშვილი ნ., არაქონებრივი ზიანისთვის დელიქტური პასუხისმგებლობის საფუძვლები და ანაზღაურების ფარგლები, ჟურნ: *მართლმსაჯულება და კანონი*, N1(61), 2019, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოსამართლეთა ასოციაციის ერთობლივი ჟურნალი
- ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“
- ქარდავა ე., შრომისა და ნარდობის ხელმეკრულებების ურთიერთმიმართების საკითხისათვის, *სამართლის ჟურნალი*, N2, თბილისი, 2009, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ქიტოშვილი დ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გამომცემლობა „ბონა კაუზა“
- ქოჩაშვილი ქ., ბრალი, როგორც სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითსამართლებრივი კვლევა), ჟურნ: *სამართლის ჟურნალი* N1, თბილისი, 2009, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- შუდრა თ., დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულის მიერ მიყენებული ზიანისთვის, შრომის სამართალი, სტატიათა კრებული I I, თბილისი, 2013, გამომცემლობა „მერიდიანი“

- შველიძე ზ. საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული I), თბილისი, 2011, გამომცემლობა „მერიდიანი“
- შველიძე ზ., ბოდონე ქ., თოდრია თ., საჟომია თ., გუჯაბიძე ნ., მესხიშვილი ქ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, საქართველო, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
- ჩიკვაშვილი შ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, მე-2 ნაწილი, (რედ: ჭანტურია ლ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., შენგელია რ., ხეცურიანი ჯ.) თბილისი, 2001, გამომცემლობა „სამართალი“
- ჩიტაშვილი ნ., ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის, სამართლის ჟურნალი N1, თბილისი, 2009, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
- ჩიტოშვილი თამარ: დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, *ჟურნ: “მართლმსაჯულება” N 1*, თბილისი, 2008, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გამომცემლობა
- ცერცვაძე, გ., ძლიერიშვილი ზ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გამომცემლობა „მერიდიანი“
- ცვაიგერტი კ., კოტცი ჰ., შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, მეორე ტომი, თბილისი, 2001, გამომცემლობა „ჯისიაი“
- ძლიერიშვილი, ზ., მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, *ჟურნ: ადვოკატი N2*, თბილისი, 2013, გამომცემლობა „კოლორი“
- ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გამომცემლობა „სამართალი“;
- ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გამომცემლობა „მერიდიანი“
- ჰართმანი მ., ზიანის ანაზღაურება ქართულ სამართალში (მოსამართლეთა ტრენინგის კონსპექტი), თბილისი, 2018, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების გამომცემლობა (GIZ)

- Blackstone, W., Commentaries on the laws of England, Philadelphia, 1893,
- Chainais C., Guillaume Gh., Tenenbaum A., European Contract Law, Part I, Terminology (directed by: Tenenbaum A.) Munich, 2008, European Law Publishers
- Cooke J., Law of Tort, twelfth edition, Malaysia, 2015, Pearson Education Limited
- Giliker p., vicarious liability in tort, a comparative perspective, New York, 2010, Cambridge University Press
- Giliker p., Vicarious Liability in the UK Supreme Court, UK Supreme Court Yearbook, Vol. 7, 2016, Appellate Press Ltd
- Ingram J. D., Vicarious Liability of the Employer of an Apparent Servent, Tort Trial & Insurance Practice Law Journal, Vol. 41, No. 1 (Fall 2005), American Bar Association
- International Labour Conference, Report III (Part 1B) General Survey of the reports concerning the Hours of Work (Industry) Convention, 1919 (No. 1), and the Hours of Work (Commerce and Offices) Convention, 1930 (No. 30), "Hours of Work, from fixed to flexible?", Switzerland, 2005
- Larson Jr. L. W., Liability of Employer for Employee's Intentional Torts, 376: Michigan Law Review, Vol. 48, N1, 1949, The Michigan Law Review Association
- Markesinis, B.S., Unberath, H., The German Law of Torts, A Comparative Treatise. Oxford and Portland, 2002, Hurt Publishing
- Mcivor C., Third Party Liability in Tort, Oxford and Portland, Oregon, 2006, Hurt Publishing
- Moreteau, O., European Group on Tort Law, Principles of European tort law, Text and Commentary, Springer-verlag/Wien, 2005
- Askeland B., Cardi W. J., Green M. D., Koziol H., Ludwichowska-Redo K., Menyhárd A., Moréteau O., Oliphant K., Yamamoto K., Basic Questions of Tort Law from a Comparative Perspective (ed: H. Koziol), Vienna/Graz , 2015
- Oppenheim D. W., Nadborny F. A. , Vicarious Liability Update, 8 International Journal of Franchising Law, issue 2, New York 2010,
- Van Dam C., European Tort Law, Oxford, 2013, Oxford University Press
- Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, Петроградъ, 1917, „право“
- Флейшиц, Е. А., Обязательство из причинения вреда и из неосновательного обогащения, Москва, 1951

ელექტრონული რესურსები:

- www.gccc.ge/www.civilcode.ge.
- matsne.gov.ge.
- prg.supremecourt.ge.
- info.court.ge.
- heinonline.org.
- library.court.ge
- b-ok.cc
- <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/rekomend.pdf>
- <https://www.geostat.ge>

ნორმატიული აქტები:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი;
- გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (BGB);
- ავსტრიის სამოქალაქო კოდექსი;
- საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი;
- „ვალდებულებითი სამართლის შესახებ“ შვეიცარიის კანონი.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 08.05.2019წ. Nას-153-2019 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.05.2016წ. Nას-1085-1022-2015 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.05.2011., Nას-714-670-2012 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 11.06.2012წ. Nას-630-593-2012 განჩინება

- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2019წ. Nზს-740-736(კ-17) განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.2019წ. Nზს-327-309(2კ-07) გადაწყვეტილება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.11.2010წ. Nას-868-817-2010 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 24.04.02წ. N3კ-1218-01 გადაწყვეტილება,
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 27.09.06წ. Nას-105-545-06 გადაწყვეტილება,
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 06.04.01წ. N3კ/242 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 11.12.2002წ. N 3კ-1212-02 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.10.2017წ. Nზს-830-822(კ-16) განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 23.03.2010 Nას-1261-1520-09 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.12.2013წ. Nას-660-627-2013 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.07.2013წ. Nზს-494-488(2კ-12) გადაწყვეტილება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.12.2008წ. Nზს-1156-1118 (კ-08) განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.10.2015წ. Nას-1165-1111-2013 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.06.2015წ. Nზს-485-474(2კ-14) განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 16.12.2013წ. Nას-660-627-2013 განჩინება
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.04.2005წ. N1254-1392-04 განჩინება

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლის 19.07.2018წ. (საჩივარი N58240/08) გადაწყვეტილება საქმეზე: სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ (SARISHVILI-BOLKVADZE v. GEORGIA)
- The court of appeal of Jamaica, Bernard v.The Attorney General of Jamaica, Judgment 07.10.2004